# ნაკადული

140
2006



# საქართველოს მომავალი



მარიამ ნატროშვილი



მარიამ ხელაია, თინათინ გაბაშვილი, ანიტა გაბაშვილი



ელენე ნამგალაძე



თბილისის №1 საჯარო სკოლა, $I^5$ კლასი



ტასო ჩხენკელი



თათუ აკალიშვილი



ანა კობახიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი
2006 წ. № 6

ჩვენი ჟურნალი 1904 წელს სასიქადულო მამულიშვილთა მესვეურობით დაარსებული პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალის ნაკადულზე აღმოზრდილი. მოგვიანებით მას სახელი შეეცვალა და „პიონერი“ ეწოდა, 1990 წლიდან კი იგი კვლავ თავისი პირვანდელი სახელით გამოდის.

## ნომრის შინაარსი

კარლო კობერიძე – ჩემი აყვავებული კუნელი (მოთხრობა) ---- 4
„ოდოშხერი“ ---------------------------------------- 9,23, 28
ნარკოტიკები ახალგაზრდობის განადგურების იარაღია -------- 10
მსოფლიო კიდით კიდემდე ---------------------------------- 14
სიტყვათა უცხოენოვანი ნაწილები (ჩვენი ენციკლოპედია) ------ 15
გაუმარჯოს ნაყინს! ------------------------------------- 16
ცოდნა, პასუხისმგებლობა, კეთილშობილება ---------------- 18
ათონის ივერონი (სახელმძღვანელო) ----------------------- 20
სითბო, სიკეთე და სიყვარული „საპოვნელასთვის“ ------------ 22
რის მაქნისია კუდი? (ბუნების კარი) ---------------------- 24
ფსიქოლოგიური ტესტი ------------------------------------ 27
შერეკილები -------------------------------------------- 30
სიცილის გაკვეთილი -------------------------------------- 31
იწილო-ბიწილო ------------------------------------------ 32

24414

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა მანანა მორჩილაძისა

რედაქტორი
მანანა გელაშვილი

მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84. ინდექსი: 0108
ფასი 1 ლარი
რეგისტრირებულია მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში.
რეგისტრაციის № 06/4-575



საქართველოს პარლამენტის ეროვნული

# სკოლა დღეის და ხვალის

***ქალბატონი ლარისა მელაძე განათლებით მათემატიკოსია. თბილისის 138-ე სკოლაში 1985 წლიდან მუშაობს, 2005 წლის ივნისში დაინიშნა ამ სკოლის დირექტორის თანამდებობაზე მოვალეობის დროებით შემსრულებლად. ჰყავს მეუღლე დ სამი შვილი.***



**–ქალბატონო ლარისა, როგორი ცხოვრებით ცხოვრობს დღეს 138-ე საჯარო სკოლა, ახალ პარამეტრებზე გასვლა, ხომ არ გაგიძნელდათ?**

–ჩვენს ქვეყანას დამოუკიდებლად მოაზროვნე, ღრმა და მრავალმხრივი ცოდნითა და სათანადო უნარ-ჩვევებით აღჭურვილი ადამიანები სჭირდება. სკოლების წინაშე დაისახა ამოცანა – აღვზარდოთ პატრიოტი, მოაზროვნე, შემოქმედებითი, საკუთარი ცოდნა-შესაძლებლობების ზრდა-განვითარებაზე მუდმივად მზრუნველი, ინფორმირებული და მიღებული ინფორმაციის ადეკვატურად გამოყენების უნარის მქონე ადამიანები. დღეს ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემაში წარმატებით მიმდინარე რეფორმაც ხომ ამ მიზანს ისახავს. მეცა და ჩემს თანამოსაქმეებსაც ბოლომდე გვაქვს გაცნობიერებული, რომ ამჟამად განათლების მესვეურთა მთელი ძალისხმევა ისეთი სასკოლო სისტემის შექმნისკენ არის მიმართული, რომელიც ყოველ მოსწავლეს ცოდნის შეძენისა და უნარ-ჩვევების გამომუშავების საუკეთესო შესაძლებლობებს შეუქმნის.

ჩვენი სკოლა შედარებით ახალგაზრდაა, იგი 1967 წელს დაარსდა, სადღეისოდ აქ 44 პედაგოგი და 600 მოსწავლეა. უნდა გითხრათ, რომ ქვეყნის განათლების სისტემის გარდაქმნის მიზნების და მნიშვნელობის გაცნობიერება ჩვენთან არც მასწავლებლებს გასჭირვებიათ და არც მოსწავლეებს, მზადყოფნით გადავერთეთ ახლებურად ცხოვრებისთვის სამზადისზე. პირადად მე გავიარე საგნობრივი თრეინინგი, „ნკკა“-ის სრული კურსი (120 სთ), გავლილი მაქვს კლასის დამრიგებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, „სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომების I და II ეტაპი“, „სკოლის მართვა და სისტემური განვითარება“. რეფორმის მოთხოვნების შესაბამისად სკოლაში თამამად დაიწყო სწავლისა და სწავლების ახალი მიდგომების დანერგვა და ამ პროცესში აქტიური მონაწილეობისთვის ჩვენმა პედაგოგებმაც არა ერთი თრეინინგი და სემინარი გაიარეს, მათ შორის: „წერა და კითხვა კრიტიკული აზროვნებისთვის“, „განათლების სისტემის დემოკრატიზაცია და ფინანსური გამჭვირვალობა“, „ბავშვებისადმი ჰუმანურ-პიროვნული მიდგომა საგანმანათლებლო პროცესში“, „კლასის ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები“, `ინტელექტუალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება“, „საოფისე კომპიუტერი“, „სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები“ და სხვა. ეს ყოველივე გვეხმარება ვიაროთ მუდმივი ძიების გზით, განუხრელად ვნერგოთ ახალი მეთოდები. არც ერთი ჩვენგანი არ აძლევს თავს მოდუნების, გარდაქმნების გზიდან გადახვევის, სიახლეზე წაყრუების უფლებას და თანამოაზრეთა გუნდად შეკრულები ვირჯებით იმისათვის, რათა ისეთ ადამიანებად აღვზარდოთ ჩვენი მოსწავლეები, რომლებიც ღირსეულად დამკვიდრდებიან საზოგადოებაში, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილები, თვითმყოფადი ენითა და კულტურით გამორჩეულები დიდ სამსახურს გაუწევენ მშობლიურ ქვეყანას, საკუთარ წვლილს შეიტანენ მის აღორძინებაში. დარწმუნებულები ვართ, რომ ჩვენი ბუდიდან აფრენილი ახალგაზრდები ადვილად შეძლებენ საზოგადოებაში ადაპტაციას, გადაჭრან პრობლემებს, თავს გაართმევენ სტრესულ სიტუაციებს, იქნებიან ტოლერანტულები და იამაყებენ ეროვნული კულტურით.

ამის საფუძველს გვაძლევს თუნდაც ჩვენი შარშანდელი კურსდამთავრებულის თამარ ბექაურის წარმატება ეროვნულ გამოცდებზე, თამარმა გრანტი მოიპოვა, რეიტინგით იგი მე-14 იყო, ამჟამად კი ეკონომიკის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტია. სკოლის სიამაყეს წარმოადგენენ 2005-2006 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები: თინათინ ბიგანაშვილი, ქეთევან გეჯაძე, ეკა გადახაბაძე, თეონა ხუბაშვილი, თეა კორკოტაშვილი და სხვები.

**–სიახლეების დამკვიდრება ტრადიციების დავიწყებას ხომ არ ნიშნავს?**

–არავითარ შემთხვევაში, ყველა კარგი ტრადიცია, რომელიც სასიკეთოდ წაადგება ჩვენი მიზნების მიღწევას, კვლავაც ცოცხლობს, უბრალოდ, ახალ ნიუანსებს იძენს და ამით უფრო საინტერესოც ხდება. ძველებურადვე ხორციელდება პროექტი „მომავლის, ოცნების სკოლა“, ჩვენი მოსწავლეები სისტემატურად მონაწილეობენ „ასფურცელაში“ და ყოველთვის დიდ წარმატებებს აღწევენ; ასევე სისტემატურად ვატარებთ ტესტირებას. ტრადიციული გახდა ჩვენი გოგო-ბიჭების დასვენება საზაფხულო ბანაკებში, გაცვლითი პროგრამა თურქეთთან და სხვა.

**–თუ შეიძლება, მოგვიხაზეთ თქვენი კონცეფცია.**

–ჩვენი კონცეფცია ასეთი გახლავთ: მოსწავლეებში აზროვნების ხერხების ფორმირებისა და შემეცნებითი აღქმის გააქტიურებისთვის ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა; საგაკვეთილო პროცესზე თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება (იზრდება მშობლის და მოსწავლის დაინტერესება); კლუბებისა და წრეების შექმნა (ინტერესების მიხედვით); მოსწავლეებში შემეცნებითი, კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გააქტიურება გაკვეთილებზე; ლოგიკური აზროვნების უნარის, ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრის უნარის გაზრდა, საგანთა ინტეგრაცია.

**–მომავლის სკოლა მშობლებთან უფრო მჭიდრო ურთიერთობას ითვალისწინებს. ამასვე ემსახურება სამეურვეო საბჭოების შემადგენლობაში მათი შეყვანის გადაწყვეტილება.**

**თქვენთან როგორ არის ამ მხრივ საქმე?**

–მშობლებთან ტრადიციულად კეთილი ურთიერთობა გვაქვს. ხოლო მას შემდეგ, რაც სამეურვეო საბჭო ამოქმედდება, მათი მონაწილეობა სკოლის ცხოვრებაში უფრო აქტიური და საქმიანი გახდება და ეჭვი არ არის, ჩვენ - პედაგოგები და მშობლები – ერთად ბევრ სასარგებლო საქმეს გავაკეთებთ სკოლისთვის, ჩვენი ბავშვებისთვის, ქვეყნისთვის.

**–თქვენი სკოლის სადღეისო პრიორიტეტებზეც გვითხარით რამდენიმე სიტყვა.**

–პრიორიტეტულია ჩვენს სკოლაში ინგლისური ენა (თუმცა ისწავლება გერმანულიც), რომელიც ისწავლება გაღრმავებულად, II კლასიდან. ასევე დიდი ყურადღება ეთმობა კომპიუტერთან მუშაობის სწავლებას. სკოლამ მოიპოვა 3000-დოლარიანი გრანტი მათემატიკაში (პროექტის დირექტორი თავად მე გახლდით), პროგრამაში „ირმის ნახტომი" მონაწილეობისთვის ორჯერ მივიღეთ ჯილდოდ კომპიუტერები,



სხვათა შორის ჩვენ ლიტერატურულ კონკურსებშიც კარგ შედეგებს ვაღწევთ...

**თბილისის 138-ე საჯარო სკოლის ცხოვრების, მოსწავლე-მასწავლებლების და მშობლების ერთობლივი მუშაობის მთავარი მიმართულებები გამოკვეთილია, გაცნობიერებულია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის საბოლოო მიზანიც და ამიტომაც აქ კარგად იციან, საით უნდა მიმართონ მთავარი ძალისხმევა. ჯერ კიდევ იაკობ გოგებაშვილი ბრძანებდა: „სწავლამ უნდა გაუხსნას ბავშვს გონება, გაუნათლოს, შესძინოს ჭკუისა და ზნეობის ამამაღლებელი და ხალხში კეთილდღეობის მომფენი ცოდნა", ამ ჭეშმარიტებისა და დროის, დღევანდელი გარდაქმნების მოთხოვნილებათა შერწყმით გამოისახა მუშაობის მთავარი ორიენტირებიც – ჩვენი ტრადიციების გათვალისწინებით თანამედროვე დასავლური ტიპის განათლების დამკვიდრება, ეს კი პირველ რიგში გულისხმობს ინტელექტუალური სწავლების აუცილებლობას, სკოლის კედლებში პრაქტიკული საქმიანობის ჩვევების გამომუშავებას და შედეგად მასწავლებლებისა და მოსწავლეების პარტნიორებად, თანამოაზრეებად გადაქცევას.**

# ერთი დღე კარლსონისა და ჩემის სამშობლოში

დღეს მთელ მსოფლიოში იშვიათად მოიძებნება ბავშვი, ვინც კარლსონს, რონის და პეპი გრძელიწინდას არ იცნობდეს, ვისაც წაკითხული არ ჰქონდეს და არ უყვარდეს შესანიშნავი შვედი მწერლის ასტრიდ ლინდგრენის საუცხოო წიგნები. ლინდგრენის შემოქმედების პოპულარიზაციაში ბოლო წლებში აქტიურად ჩაება გამომცემლობა „დიოგენე", რომელმაც საუცხოოდ გამოცემული მისი არა ერთი წიგნით გაახარა ქართველი ბავშვები. „დიოგენე" იყო საქართველოში შვედეთის საკონსულოსთან, შვედური ენისა და კულტურის ცენტრთან ერთად თბილისის პირველ საჯარო სკოლაში გამართული ა. ლინდგრენის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ღონისძიების სულისჩამდგმელიც. ღონისძიების პირველ განყოფილებაში ბავშვებმა წარმოადგინეს მწერლის წიგნების თავისეული ილუსტრაციები და პერსონაჟთა კოსტიუმები, საკუთარი ხელით დამზადებული წიგნი. მეორე განყოფილებაში, რომელიც შვედეთისა და საქართველოს ჰიმნებით გაიხსნა, ჩატარდა ვიქტორინა „მე ვიცნობ შვედეთს", რასაც მოჰყვა სლაიდშოუ „სკანდინავიური მითოლოგია" და კონკურსი. პატარებმა ასტრიდ ლინდგრენის შემოქმედების ცოდნასთან ერთად შვედეთის ისტორიის, კულტურის, ლიტერატურის საკმაოდ ფართო ცოდნაც გამოავლინეს, რითაც დამსწრე საზოგადოების და პირველ რიგში შვედი სტუმრების დიდი მადლობა და მოწონება დაიმსახურეს. შვედეთის კონსულმა ბატონმა ერიკ უინსონმა ასეთი სიტყვებით გამოხატა თავისი კმაყოფილება და მადლიერება: „ნოემბერში ასტრიდ ლინდგრენის დაბადების დღეა და ჩვენ გამოფენას გავმართავთ. დღევანდელი დღე კი არის, ასე ვთქვათ, ექსპერიმენტი, რომელმაც გვაჩვენა, თუ როგორ იცნობენ და უყვართ შვედური კულტურა საქართველოში. ვფიქრობ, დღევანდელი დღით ჩვენი მისია ნამდვილად წარმატებით შესრულდა. დიდი მადლობა ყველას".



ქეთევან სიორიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩემი აყვავებული კუნელი

**მოთხრობა**


## კარლო კობერიძე

მხატვარი
თემურ ფხიკიძე


ის-ის იყო სახვალიო გაკვეთილების სწავლას მოვრჩი, და მამაჩემიც დაბრუნდა სამსახურიდან — პიჯაკი სკამის საზურგეს მოახურა, ჰალსტუხი მოიხსნა, მკერდი მოიღეღა და ღიმილით თქვა:

—ჰო, ჰო, რა ამინდია, ახლა ერთი ჩვენს ორღობეში გამატარა — იქაურობა ასკილისა და იის სურნელით იქნება გაჟღენთილი.

—მერე, ვინ გიშლის წასვლას? — ეუბნება დედაჩემი, თან წიგნებს ასწორებს თაროზე. — ადამიანის მთელი ცხოვრება სანატრელამდე მისვლის ცდაა, მეტი კი არაფერი! შე კაცო, სულ უბრალოდ მისაწვდენი ნატვრა გქონია და რა გაყოყმანებს, გამაგებინე მაინც!

მამა ღია ფანჯარასთან მივიდა, ნუშებით აბოლებულ გორას გახედა:

—სოფლელი იყო, მაგას არ მეტყოდი.

—უი, ახლა არ გამახსენდა?! — უცებ შეტრიალდა დედა, გვერდითა ოთახში შევიდა, — აგერ, გელამ წერილი მიიღო სოფლიდან.

მამამ კი თითქოს სხვათა შორის თქვა:

—მივლინებაში ვარ ორშაბათიდან, არადა, ვიფიქრე, შაბათ-კვირას წავალ ჩვენებთან, მიწის საქმეშიც ხელს წავახმარ და იქაურ გაზაფხულსაც თვალს მოვავლებ-მეთქი.

დედამ წერილი მომაწოდა და მერე ჰკითხა მამას:

—ახლა სადაო?

—ისევ რიგაში.

—ისევ ერთი თვით?

—ორი კვირით.

—რას ჩაგაცივდნენ. მარტო შენ გხედავენ იმხელა ინსტიტუტში?

—ჩემი განყოფილების საქმეა და სხვა ვინ უნდა წავიდეს?

რეზოს წერილი იყო, ჩემი ბიძაშვილისა. ისიც მეცხრე კლასშია. უცებ შემოვარიდე კონვერტი და უფრო გემრიელად რომ წამეკითხა, სკამიდან სავარძელში გადავინაცვლე ჯერ: ყველას სიყვარულით მოგიკითხავთ: როგორ ბრძანდება თქვენი ბრწყინვალებაო, თუ შენ კიდევ ჩემს ამბავს იკითხავ, მაინცდამაინც ბევრი არაფერი გვიჭირსო. მერე: მურიამ ხუთი ლეკვი დააგდო, ალე პაპას სიტყვა ძირს დავუშვი და ხუთივე შევურჩინეო, ამ დღეებში ფოთოლამაც იმარჯვა — სახარე მოიგო, ძალიან ეწყინა მამაჩემს. — ვაი, თქვენ საცოდავებოო, ახლა ხარი აღარავის სჭირდება, ვიდრე დასაკოდი გახდება, მანამდე დაკლავენ ხოლმეო. ბოლოს: მთელი ერთი კვირაა ნატო ბებია მწოლიარე ავადმყოფიაო. შეკრთი:

—ნატო ბებია ყოფილა ავად! — არ ვიცი რატომ, ბარათი ჩავმუჭე და ხელი ზურგს უკან წავიღე.

—რაო?! — თავზე დამადგა მამაჩემი, — რეზო იწერება?

—დიახ, ისაო... მთელი კვირაა წევსო.

მამამ წერილი გამომართვა, სწრაფად ჩაიკითხა, მერე დედას მიაჩეჩა ხელში და სკამის საზურგედან პიჯაკი აიღო:

—სოფელში მივდივარ ახლავე!

დედამ კონვერტს დახედა:

—მოიცა, ვახტანგ, შვიდი დღის გამოგზავნილია, ჯვარი სწერია, და საშიში რამე რომ ყოფილიყო, აქამდე ან ტელეფონით დაგვეხმაურებოდნენ, ან დეპეშით, ანდა სიტყვას გამოატანდნენ ვინმეს. ასე აღელვებულს ვერ გაგიშვებ. — არ დაანება პიჯაკის ჩაცმა. — შარშანწინ მამაშენს მანქანა რომ დაეჯახა, რაღაც ნახევარ საათში არ მოგვაწვდინეს ხმა?

მამამ მუშტი დაარტყა მაგიდას:

—რაღა ახლა გამოტყვრა ეს უპატრონო მივლინება!

—რა იყო, ადამიანო, ყველაფერზე

დარდი და ნერვების აწიოკება შეიძლება? როდის უნდა გაფრინდე?

–ხვალზევით, საღამოს რეისით.

–სხვა ყველაფერი მოაგვარე?

–თითქმის.

–რას ნიშნავს თითქმის?

–ვიდრე საბუთებს გავამზადებდი, დირექტორი აკადემიაში გამოიძახეს სასწრაფო საქმეზე. დამელოდეო, მაგრამ მერე დარეკა, ვეღარ მოვდივარო. ხვალისთვის დამიბარა. ასე რომ, საბუთებს ხელის მოწერაც აკლია და ბეჭედიც. თვითმფრინავის ბილეთიც ასაღებია.

–რომელ საათზე გელოდებიო?

–თორმეტზე.

–დრო ბევრი გვაქვს, სოფელში წასვლა-წამოსვლას ოთხი საათიც არ უნდა, მაგრამ ასე აჯობებს: მამაჩემს ვთხოვ და ის წავა ინსტიტუტში, საუხერხულო არაფერია, აკი კარგად იცნობს დირექტორს. ინსტიტუტში წავა და ბილეთსაც აგიღებს, ხვალ დილით წადი და კვირას დაბრუნდი შუადღისას. ახლა კი ვერ გაგიშვებ, ვითომ არაფერი იცი, პარასკეობით რა ამბავია გზებზე – მანქანების გადარბენა გეგონება, აი, გელაც წაიყვანე, ხომ წახვალ, შვილო?

გამიხარდა რომელია, მაგრამ თავი დავიფასე:

–განცხადებას გავატან ალეს, – ჩემს ძმაზე მითხრა. – მოულოდნელად რომ გამოეცხადები, უფრო გაახარებ ბებიაშენს.

ადრე დავწექით დასაძინებლად. ალე მაშინვე წავიდა სიზმრებში. მე კი ძალიან მინდოდა დამეძინა და უფრო იმიტომ ვერ დავიძინე.

დედამ რომ გამაღვიძა, ფანჯარაში გავიხედე მაშინვე – სიბნელე გაცრეცილიყო, ჩიტებიც ჟივჟივებდნენ. ალეს კი, რომელ გვერდზეც დაწვა, ისევ იმ გვერდზე ეძინა.

ცივმა წყალმაც ვერ გამომაფხიზლა რიგიანად – რაცრაცით ჩავედი კიბეებზე.

მანქანაში მამაჩემის გვერდით ვაპირებდი დაჯდომას, კარიც გამოვაღე. შემატყო, გამოუძინებელი რომ ვიყავი, ამიტომ მითხრა, უკან დაჯექიო. ქალაქს არ ვიყავით გაცილებული, ძილმა რომ წამართვა თავი, და როცა გამომეღვიძა, მანქანა ჩვენს ჭიშკარში შედიოდა უკვე. პირველად ნატო ბებია მომხვდა თვალში – მსხლის ქვეშ, ამოღრუტნულ ლოდთან მიედგა ნამორი, ფილთაქვა მოემარჯვებინა და სიმინდს უნაყავდა წიწილებს. ჩვენ რომ დაგვინახა, მუჭში შერჩენილი სიმინდი ვედროში ჩაყარა, ფილთაქვა ლოდზე დააგდო და ციმციმ წამოდგა:

–უი, თქვენა ხართ, შვილო!

მანქანიდან გამოვსხლტი და ხელებგაშლილი გავიქეცი:

–ნატო ბებიას ვენაცვალე!

–ეგ რა წამოგცდა, შვილო?! ღმერთო, არ უსმინო – მე უნდა გენაცვალო, შვილო, მე! – ისე ღონივრად ჩამიკრა გულში, ნაავადმყოფარისა არაფერი ეტყობოდა.

ერთმანეთის მოფერებას რომ მოვრჩით, საყვედურზე გადავიდა ბებია:

–ეგრე რომ დაგვივიწყეთ, შეიძლება, ხალხნო?!

–რას ამბობ, დედი?! – გაიოცა მამაჩემმა, – თვეში ერთხელ მაინც ჩამოვდივარ და ჩემი სამსახურის პატრონს მეტს რაღასა მთხოვ?!

–სულ არ წასულიყავ, მე ის მერჩივნა! სხვები როგორღა არიან?

–რეზომ მოიწერა შენზე ავად არისო, და როგორღა იქნებიან?!

–ვერ უყურებ? გავაფრთხილე, არ გააგებინო-მეთქი, არაო, და მაინც ჩამოუფრიალებია. სიცხე ამეკვიატა და ექიმმა, ათიოდე დღით უნდა ჩაითბუნოო. გუშინწინ გავეშვი.

–მამაჩემი სადღაა?

–ჭალის ვენახში წავიდა, ორიოდე სარი დამრჩა ჩასანაცვლებელი და მზით ამოვალო. ამოვა და, მერე კიდევ შინა ვენახს გამოუთოხნის ძირს, გუთანი შევიპირეთ, დღესვე უნდა მოეხნათ. იქ რა არის, ორ საათში გამოჩიჩქნის!

ეზოს მოვავლე თვალი: მთელი ხეხილი ნაირ-ნაირად იყო გადაპენტილი. ღობის შინდს ვერ დაეყვავილებინა. მსხალი, ვაშლი, ატამი, ქლიავი, ტყემალი, ალუჩა ისევ თეთრად აქანავებდნენ ტოტებს. ნიავი რომ წამოუვლიდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ მონანაობდა ფიფქი.

მამას და ნატო ბებიას ჩემთვის აღარ ეცალათ, მეც საქმე გამოვიჩინე, წიწილებს სიმინდს დავუნაყავ-მეთქი.

ვედროზე მამალი დამჯდარიყო. ალბათ ცოტაღა ეყარა შიგ – მარცვლის ამოსაღებად რომ ჩაეყუდებოდა ხოლმე, რის ვაი-ვაგლახით იმაგრებდა თავს. ბოლოს აკი ჩავარდა კიდევაც. ისეთი ქოთქოთი ატეხა, ისე აფათქუნა ფრთები და ისეთი ხმა გაიღო ვედრომ, დაფეთებული წიწილები მიმოიფანტნენ. ჯერ აკრიახდა კრუხი, მერე კუტკუტზე გადავიდა, მეც მივეხმარე და წიწილებს უცებ მოვუყარე თავი. მსხლის ქვეშ თეთრად ეფინა ყვავილის ფიფქი. შორიდან რომ გახედავდი, ამ სითეთრეში ყვითელ, მოძრავ წერტილებად ჩანდნენ წიწილები.

ლოდის ერთ მხარეს დაგვილი იყო მიწა. საგულდაგულოდ დავნაყავდი ორიოდე მარცვალს, ხელს მოვუსვამდი და იმ დაგვილ მიწაზე გადავყრიდი ხოლმე. ისე იცენცბოდნენ წიწილები, იფიქრებდი, კი რ ჭამენ, აცენცობანას თამაშობენო. ეტყობა, ქათმებისთვის ჯერ არ დაეყარა საკენკი ბებიას – თავაწეული იდგა კრუხი და ახლოს არ უშვებდა აწრიალებულ დედლებს. სიმინდის დანაყვით ვიყავი გართული და ვერ გავიგე, ბიძაჩემი გიორგი როდის შემოვიდა ეზოში. ეტყობა, კარგა ხნის მოსული იყო, რაკი მისაკითხ-მოსაკითხი საუბარი არ მესმოდა.

–ასეა, თითქმის ერბაშად გამოაქვს ვენახს კვირტები, ჯერჯერობით ერთიც არ მინახავს გაცდენილი.

–იქნებ წლეულს მაინც გაიმეტოს ბარაქა, – მანქანის კარი ღია დარჩენია მამას და ახლა კეტავს.

–ამდენ გარჯას რომ არ გვიფასებს, ისა მწყინს, თორემ სულ უმაგისობასაც ავიტანთ როგორმე. – მერე მე დამეხმაურა ბიძაჩემი: – მაგდენს რომ აჭმევ, ბიჭო, წიწილებს, გულძმარვა აუტყდებათ.

ფილთაქვა ღიმილით დავდე ლოდზე და წამოვდექი:

–მე კი მეგონა, სძინავს-მეთქი.

–აქამდე ძილი, განა რეზო ვარ! – მაკოცა და მერე



ჩაკუნტდა. ხელმოჩრდილვით ამომხედა – შენა ხარ თუ დაპატარავებული მამაშენი?

–მსგავსება და ეგეთი, ადამიანო?! – ხელი ხელს შემოჰკრა ნატო ბებიამ. – ბოლო არდადეგებზე რომ იყო აქა, ერთ დღესაც, აულია წალდი და რაღაცას ჩორკნის. აივნიდან ვუყურებ – პატარა ვახტანგია გამოცხადებული! ფიქრში წაველ – სწორედ რომ ვახტანგია! ისე მომეჩვენა, თითქოს მთელი ოცდახუთი წლით ვიყავი უკან, მთელი ოცდახუთი წლით ახალგაზრდა. რა როგორ იყო, ვეღარ ვიტყვი, ის კი კარგად მახსოვს, დავუძახე, რამე არ იტკინო, შვილო, ვახტანგ-მეთქი. ამომხედა, ის აკი დილას თელავში წავიდაო. მწარედ მოვიჩქმიტე მკლავი და ისე დავბრუნდი აქა.

-ეჰეი! – აივანზე აყვირდა რეზო და უკან რომ მივიხედე, უკვე კისრისტეხით ჩამორბოდა კიბეზე. მოვიდა და გადარეული მოხვევით დამეტაკა. უკან რას დავიხევდი, ხან მე ვიყავი ქვეშ და ხან – ის.

–გეყოფათ, შვილო! – გასაშველებლად გვეცა ნატო ბებია.

მამაჩემი დაფიქრებული მოგვჩერებია. ბიძაჩემი ხითხითებს. მე და რეზო კი ტანსაცმელზე აკრულ მხლის ფიფქებს ვაცლით ერთმანეთს.

–ლეკვები ნახე? – მეკითხება რეზო.

–აქამდე წიწილებს აჭმევდა, – უთხრა ბებიამ.

–წამოდი, გაჩვენო, სათივის ქვეშ დაყარა.

ჩვენ რომ მივედით, მურია ძუძუს აწოვებდა ლეკვებს. დამინახა, კუდის ქიცინით აიწია წამოსადგომად.

–იწექი, – თავზე ხელი დაადო რეზომ.

მართლაც ხუთი დაეგდო: სამი ხვადი და ორიც ძუკნა: თვალები უკვე ახელილი ჰქონდათ. თამამი ლეკვი აჳიყვანე, გულში ჩავიხუტე. მურია კეთილი, მადლიერი თვალებით მიყურებდა. ისევ რომ დავსვი, ჯერ ლეკვს დასუნა, მერე ხელზე დამიწყო ლოკვა. არ ვიცი რატომ ძალიან შემეცოდა მურია.

–წამოდი, ახლა ბოჩოლა ვნახოთ, – ჯერ თვითონ გატრიალდა რეზო.

საძროხეში შევედით, ცალკე მოღობილში, კორაკანში იდგა ბოჩოლა, ფოთოლა კი მოკლედ მიებათ გეჯასთან აკაციის ბოძზე. დაგვინახა ფოთოლამ და შემოგვზმუვლა. ბოჩოლა დიდი, წყლიანი თვალებით გვიყურებდა.

–ცალკე რატომ არის ბოჩოლა? – ვკითხე რეზოს.

–სულ რომ არ გამოწოვოს რძე.

–ვინ მოიფიქრა თავდაპირველად?

–ალბათ ვისაც ძროხის მოშენება მოუვიდა აზრად.

–თქვენც ერთი! – ლასტის კარი გამოვაღე. ბოჩოლას ჯერ არაფერი გაეგებოდა შიშისა და არც გატოკებულა. რომ ავწიე, მსუბუქად მომყვა ხელში. გვერდულად გამოველ კორაკნიდან და ფოთოლას შევუსვი ცურთან. ბოჩოლა მაშინვე ჩამოეკიდა ჯიქანს.

–ასეც ვიცოდი! – ნატო ბებიას ხმა იყო. მივიხედე: ხელში ხის სათლი ეჭირა, – თქვენ რომ გკითხონ, გენაცვალე, ფრინველ-საქონელი მარტო მოსაფერებლად უნდა იყოლიოს ადამიანმა. დიდი ხანია მიუშვით?

–ჩემი ხათრით დღეს მაინც გაუხარე შვილი, – სათლს წავატანე ხელი.

–ოთხ ხელადას იწველის, შვილო, და აბა რეზოს ჰკითხე, სამ ლიტრაზე მეტს თუ წავართმევთ ხოლმე.

–მართალია, – დაემოწმა რეზო. – შეხედე, როგორ არის ჩამრგვალებული ბოჩოლა! წავალ, თორემ სკოლაში დამაგვიანდება.

–რა დროს დაგვიანებაა, საათზე მეტი დროა დარჩენილი!

–რაკი ადგები გზასაო, დროით სჯობია წასვლაო.

ჩემი პატარა ბიძაშვილები – ნატო და მანანაც ამდგარიყვნენ, რომ დამინახეს, სიხარულით აცმუკდნენ. მივეფერ-მოვეფერეთ ერთმანეთს, ვიდრე კომშის ჩრდილშეფარებული ონკანი წყალს მოათქრიალებდა, ანუ ვიდრე ხელ-პირს დაიბანდნენ, ბოჩოლაზე, ლეკვებზე, წიწილებზე საუბარიც მოასწრეს და არც სკოლის სამხიარულო ამბები დავიწყებიათ. მერე მაყვალა ბიცოლაც ჩამოვიდა და ეზოში მორიდებით უთხრა მამას, წუხელ რატომღაც ძილი გამიტყდა და გათენებისას ძლივს ჩამეძინაო.

ჰო, ბიძაჩემი ფიზიკასა და ალგებრას ასწავლის სკოლაში, ბიცოლა – ქართულ ენა-ლიტერატურას.

საუზმობისას რეზომ რაღაც უჩურჩულა გიორგი ძიას.

გიორგი ძიამ თავი გააქნია და ხმამაღლა თქვა:

–არ გამოვა ეგ საქმე!

–წუხელ აკი გამომკითხე და, ხუთზე იციო? – რეზომ კარაქიანი პური თეფშზე დადო და წამოდგა. – სხვა დროს როდის მითხოვია ეგეთი რამე?

–რა მოხდა? – იკითხა მამაჩემმა.

–ბოლო ორი გაკვეთილი ჩემი აქვს და გამათავისუფლეო... სკოლაში უკვე მოსწავლედ მეთვლები.

–ჰოდა, იქ გიხოვ, როგორც მოსწავლე.

–ამ შემთხვევაში თითქოს შეიძლება.

–შეუსრულე ეგ თხოვნა, – ჭიქა აიღო მამაჩემმა, ერთი ყლუპი რძე დალია და თავი ასწია, – მშვენივრად თქვა ლევ ტოლსტოიმ: რძეს რომ ვსვამ, ხბოს ბღავილი მესმისო.

არადა, მართლა ბღაოდა ხბო.

გიორგი ძიამ საათზე დაიხედა:

–ცოტა იჩქარეთ, ხუთი წუთიღა დაგვრჩა.

ხუთი წუთის შემდეგ სამნიღა ვიყავით შინ.

მამამ სამუშაო ტანისამოსი ჩაიცვა, ბოსტნის თოხი მოძებნა და ფხას რომ უსინჯავდა, ნატო ბებიამ ჰკითხა:

–რათ გინდა, შვილო?

–მამაჩემის დაბრუნებამდე ნიორს მაინც გავთოხნი.

–ახლახან გათოხნა გიორგიმ, შვილო.

–კიდევ რომ გაითოხნოს, აწყენს?

–არ აწყენს, მაგრამ რაღა ძალაა!..

ჩვენს ბაღ-ბოსტანს მავთულის წნულღობე აქვს შემოვლებლი. ზაფხულობით სიმწვანე რომ გამოილევა ეზოში, რაკი გარედან კარგად ჩანს მორწყვით გალაღებული ბოსტნეული, ერთი უნდა გაჩვენათ, რა დღეში არიან ქათმები: გაუვლიან და გამოუვლიან ხოლმე ღობეს, გაუვლიან და გამოუვლიან – შიგ შესვლა უნდათ, მაგრამ რას გაუშვებთ მავთული!

მამამ თოხი ორკაპა ხურმაზე მიაყუდა და ხეხილს ათვალიერებს:

–ამ სახლს რომ ვაშენებდით, აგვისტო იყო, ისე ცხელოდა, რაღა ვთქვა! მაშინ ეზოში წყალი არავის ჰქონდა გამოყვანილი და ჩვენ საიდანღა გვექნებოდა! აგერ, ხევის წყაროდან ვეზიდებოდით მე და ბიძაჩემი. თითოს კინაღამ ოც-ოცჯერ გვიწევდა იქ ჩასვლა-ამოსვლა. თამაში გგონია? მაგრამ სახლის აშენება ისე გვიხაროდა, ერთხელ არ ავბუზღულვალთ. ამოვიტანთ წყალს, ვხედავთ, კედელს სიმაღლე მომატებია, ვერ წარმოიდგენ, როგორია მშენებლობის სიხარული. მე და ბიძაშენმა მაშინ დავრგეთ ეგ ტყემალი და ესა, – ხელი მიარტყა ბალს. – კალატოზმა მოგვიტანა ნერგები, რომელმა რომელი დარგასო, კენჭი ვყარეთ. ბლის დარგვა შემხვდა. აყვირდა ჩემი ძმა, განგებ შემხვედრეთ მეყავეო, რომ დამწიფდება, დატკბებაო, – ეუბნება კალატოზი. ახლა პასუხს არ იკითხავ? ტკბილი ტყემალი რაღა ტყემალიაო!

მამამ ახლა ღობის ძირში გაოლებულ, ბოლქვა-ბოლქვა ამოვარდნილ ჭინჭარს გააყოლა თვალი, – დედი!



–რაო, შვილო? – აივანზე ლოგინს ამზეურებდა ნატო ბებია.

–ხმელი შოთები ხომ არა გვაქვს? ჭინჭრის ნახარშსა და ორთქლში დამბალი შოთი მომენატრა.

ხეხილის ყვავილში მწვანედ ლაღანებს დაორფოჭებული ნიორი. მამა ფრთხილად, დაკვირვებით თოხნის ნიორს. კვალს რომ გაიტანს, ამ სითეთრეში ისე ჩანს შავი ხაზები, გეგონება, ფიქრში იყავი წასული დ დაგიყვირესო. მაისის ვარდს უკვე დაუწყია კოკორი. იქვე ბროწეულის ბუჩქი დგას და ისე ანანავებს ტოტებს, თითქოს ვიღაცას ახალგაღვიძებულ, მოწითალო ფოთლებს აჩვენებსო

ხან ლეკვებს დავხედე. ხან ფოთოლას, ხან ბებიას მოვეხმარე ჭინჭრის მოკრეფაში და ხელები დავისუსხე. ამასობაში რეზოც დაბრუნდა სკოლიდა – მესამე გაკვეთილი კიდევ ქართული გვქონდა და დედამ გამომიშვაო.

მამაჩემი უკვე მორჩენილი იყო ნივრის თოხნას და შინავენახში ავიარეთ, რაღა მამაჩემი ვაწვალო, აქა ვარ და იმასაც მე გავთოხნიო. ჩვენი შინავენახი სოფლის თავშია, სამი მხრიდან ცოცხალი ღობე აქვს, ერთი მხრიდან ტყე. ცოცხალ ღობეში ტყემალი, ქლიავი, ჭერამი, ატამია შერეული, თეთრი, ბუსუსიანი ატამი, ღობის ატამი რო ჰქვია, ისა, ვენახად გვეთვლება, თორემ სულ ათი მოკლე მწკრივია, გვიან მწიფდება და გვიანაც ვკრეფთ. უფრო სწორად, ყურძნად გამოვიზოგავთ ხოლმე.

ირგვლივ ისეთი სურნელი ტრიალებდა, ხმა მქონდეს, სიმღერას შემოვძახებდი. თითქოს ჭორაობენო, ღობე-ღობე ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ წითლად და თეთრად აბდღვრიალებული ასკილები; ღობის ძირები და ტყისპირი სავსე იყო იითა და ფურისულათი. ჩიტები სტვენა-გალობით ავსებდნენ იქაურობას. აქაც ჰყვაოდა ხეხილი, ხეხილი და ტყისპირებზე, ხიჩატელი: კუნელი, ზღმარტლი, პანტა, მაჟალო, მაგრამ ეს ხიჩატელი დაბარდებული იყო გადაკაფვით. მოშორებით, ხევის ჩაფერდებასთან აყვავებული ხეხილის თავზე მწვანედ ამოსხლეტილიყო სასაფლაოს კვიპაროსები. იმ კვიპაროსებს თვალი მოარიდა მამამ, გადაპენტილ ბალამწარას ახედა და თქვა:

–რამდენჯერ ვუთხარი მამაჩემს, ხიჩატელს ნუ გადაკაფავ-მეთქი, მაგრამ არ დაიშალა თავისი, ჯერ რა ვაზია და ამასაც ჩრდილში მოაქცევსო, – ჩაიმუხლა, ხელები მიწას დააყრდნო და ია დაყნოსა.

–მაგდენ წვალებას მოწყვეტა არ სჯობია? – გაეღიმა რეზოს.

–ცოდვაა მოსაწყვეტად, მალეც ჭკნება და, რა თქმა უნდა, სურნელსაც მალე კარგავს.

–მაშინ ვიხოხოთ, ასე მუხლებზე.

–რაკი გიყვარს, უნდა იხოხო.

რეზომ წალდი გამოიყოლა: აქა-იქ ჯაგრცხილა, შავცხრილა, ხეშავა, კუნელი, ნეკერჩხალია ვენახში შემოწეული და ის უნდა ჩავკაფოო.

მამამ თოხნა დაიწყო, რეზომ კი მჭადაქვით გალესა წალდი და მერე გამეტებით მოუქნია კუნელს – ტოტები ჩამოასხიპა. თან კუნელს კაფავს, თან ფეხით თქერავს იასა და ფურისულას.

–რას შვები, ბიჭო?! – წალდზე ვუტაცე ხელი.

–რა მოგელანდა?! – გაოცებული მიყურებს.

–აბა, დახედე, რა დღეშია ია და ფურისულა?

–ესენი სულ აქ არიან გაზაფხულობით, ამათი გულისათვის ვენახში შემოვუშვათ ტყე?

–ცოდვაა, – ჩაჩეჩქვილ იას დავხედე, – ფეხი მაინც მოარიდე.

–მაგას რომ ვუყურო, წალდს ჩავირტყამ რამეში! არაფერია, გაისად ისევ მოვლენ სიცილითა და სურნელით. – ისევ მოიქნია საჭრელი.

–მოიცა რეზო, – თოხი მიწაში ჩატოვა მამამ და სწრაფი ნაბიჯით წამოვიდა. – მართალს გეუბნება, – კუნელს აყვავილებული ტოტი აიღო, – ახლა ნამდვილად ცოდვაა. თუ დაკაფვა გინდოდა, ვიდრე კვირტი გაიღვიძებდა, მანამდე დაგეკაფა, შე კაი კაცო! ხედავ? – კუნელის ცერად ჩაჭრილ ტოტს ისე მოუსვა ხელი, თითქოს ეფერებაო, – წვენი დაიძრა, ამას ტირილს ეძახიან. ეს შემოწეული ტოტები ვერაფერს დააკლებს ვენახს, ჩვენ კი, ჩვენ, სიკეთეს არ დაგვაყრის მაგის ცოდვა. მომეცი წალდი! რა უცებ დამახინჯდა ეს დალოცვილი კუნელი!

რეზომ მორჩილად გაუშვა წალდს ხელი და გუთნის ნაკვალევში გადავიდა.

მამამ აყვავებული კუნელის ტოტი ვენახის მავთულზე ჩამოჰკიდა და თოხი აიღო ისევ; ორიოდეჯერ გამოჰკრა, მერე უცებ ჩაიმუხლა, – რაღაცას დააკვირდა.

–რას უყურებ, მამი?

–ხვართქლაა, ისე ლამაზად ამოსული, ლამის შემოვუთოხნო.



## მე ვაი მე

მე ვარ ნინო კობახიძე. მე ვარ 9 წლის, მე ვარ მე და არ მინდა ვიყო სხვა, რადგან მე უკვე ვარ მე. მე ყოველთვის მე ვარ. მე მინდა გავფრინდე ბრაზილიაში. იქნებ, ეს უნდა სხვასაც? მე მინდა ჩიტის ფრთები მქონდეს, იქნებ ეს უნდა სხვასაც? მე 1996 წლის 18 ნოემბერს დავიბადე. იქნებ, ამ დღეს დაიბადა ბევრი სხვაც? მე მინდა, საქართველო კარგად იყოს. იქნებ, ასე უნდა სხვასაც. მაგრამ მაინც, მე ყოველთვის ვარ მე და არა ვინმე სხვა!!!

## ციდან მღერიან წვიმის ქუჩები

ეჰ, დადგა შემოდგომა! აცივდა, ახლა ვეღარ ვიწუწუნებ. ერთ დღეს გაკვეთილები გავაკეთე, წავიკითხე და გავედი აივანზე, გარეთ წვიმდა, ავიღე სკამი და დავჯექი. დავიწყე ფიქრი – ნეტავ უპატრონო ძაღლები რატომ იტანენ შემოდგომას? უცებ თავზე დამეცა რამდენიმე წვეთი, რომელმაც გამახსენა სიმღერა, რომელიც ადრე ბაღში დავწერე. მერე ახალმა აზრმა გამიელვა თავში. ახლა გარეთ გავალ და ყველა ჩემს სიმღერას გავიხსენებ. მართლაც, გავედი და წვეთები მელოდიების გახსენებაში დამეხმარნენ. ერთი იყო ასეთი: პამ-პამ-პამ, პარი-რამ-პამ... მეორე ასეთი: ტი-ტი-ტი პირიმ-პამ-პი. ახლა მეცოდინება, რატომ უყვართ შემოდგომა ძაღლებს. დავჯექი დასასვენებლად სკამზე და უცებ მომესმა ნაბიჯების ხმა. გავიხედე და დავინახე გაბრაზებული დედა. ამიყვანეს ისევ სახლში. მე კი მელოდიების მოსმენა მინდოდა. ბოლოს მოვიფიქრე და ტაში შემოვკარი! ტაში! და გავაკეთე ის, რაც მინდოდა – გავაღე აივნის კარი და პიანინოს მივუჯექი. მაშინ ჯერ პიანინოზე დაკვრა არ ვიცოდი, ამიტომ ავიღე ყველაზე წვრილი ხმები და წვიმის წვეთებს ავყევი. მოვიდა ჩემი ძმა მუსიკის გაკვეთილიდან და რა მექნა, დავუთმე პიანინო და ყველას ვუთხარი – „დედებო, მამებო, ბებიებო, ბაბუებო და გიორგი! გთხოვთ, როცა შემდეგი წვიმა მოვა ჩვენთან სტუმრად, პიანინო დამითმეთ!“

**ნინო კობახიძე, 9 წლის „ახალი სკოლა“.**



თამუნა ბერიაშვილი,
ახმეტის რაიონი, სოფელი ქისტაური



მარი ტუხიაშვილი, 12 წლის
ახმეტის რაიონი, სოფელი ქისტაური



ნიკოლოზ ბარათაშვილი,
სკოლა „სადუნი“



თათია ლიპარიშვილი, 7 წლის
ქალაქი რუსთავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნარკოტიკები ახალგაზრდობის განადგურების იარაღია

*ნარკოტიკებს უდიდესი ზიანი მოაქვს არა მარტო ცალკე ადამიანებისთვის, არამედ მთელი საზოგადოებისა და ერისათვის. ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში 24 000 ნარკომანია, ხოლო არაოფიციალურად მათი რიცხვი 150 000 აღწევს. ყველაზე საგანგაშო კი მაინც მოზარდთა ნარკოტიკებისადმი სწრაფვაა, რაც დაუყოვნებლივ ქმედებებსა და ღონისძიებებს საჭიროებს, რათა მომავალმა თაობამ კარგად გააცნობიეროს, თუ რაოდენ დიდ საფრთხეს უქმნის ნარკოტიკები მათ ჯანმრთელობას და რა შედეგები მოჰყვება მას.*

*გთავაზობთ ინტერვიუს ცნობილ ნარკოლოგთან, პროფესორ გელა ლეჟავასთან, რომელიც ნარკოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გახლავთ.*



**–ბატონო გელა, რამდენად ხშირია საქართველოში არასრულწლოვანთა მიერ ნარკოტიკების გამოყენების ფაქტები?**

–საკმაოდ ხშირია, უფროსკლასელებისა და პირველკლასელების 30% იძლევა პასუხს, რომ უბრალოდ გასინჯული აქვთ, ზოგიერთი ამბობს, რომ პერიოდულად იღებს, არიან მოზარდები, რომლებიც სისტემატურად ეტანებიან ნარკოტიკებს.

**–იწვევს თუ არა ნარკოტიკის ერთჯერადი მიღება მიჩვევას?**

–გულწრფელად რომ გითხრათ, ერთჯერადი გასინჯვა არ იწვევს დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, მით უმეტეს, რომ საუბარია ანაშასა და ექსტაზზე, რომელსაც ყველაზე ხშირად იღებენ მოზარდები. თუმცა ეს თავისთავად ცუდი მაჩვენებელია, რადგან თითოეული მოზარდი ისეთ დონეზე უნდა იყოს ინფორმირებული ნარკოტიკების მავნე ზემოქმედების შესახებ, რომ არ გაუჩნდეს მისი გასინჯვის არანაირი სურვილი.

**–მიღებულია თუ არა ამგვარი ინფორმაციების მიზნით რაიმე სახის ზემოქმედება სკოლებში, წესდება თუ არა, კონტროლი?**

–ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ განათლების სამინისტრო არ ფიქრობს ამ პრობლემის მოგვარებაზე. ჩვენ, ნარკოლოგების დიდმა ჯგუფმა, ვაჩვენეთ მოწაფეებში ჩატარებული ჩვენი გამოკვლევები, დავუმტკიცეთ, რომ უდიდეს პრობლემასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ისინი არანაირ ზომებს არ იღებენ.

**–ძირითადად რა იწვევს მოზარდებში ნარკოტიკებისადმი სწრაფვას?**

–მიზეზი ძალიან ბევრი შეიძლება იყოს: როგორც ბავშვები ამბობენ, ეს გუნება-განწყობილების გაუმჯობესების, რეალობისგან თავის დაღწევის სურვილი, სიყვარულთან დაკავშირებული პრობლემებია. მოგეხსენებათ, ამ ასაკში ემოციური სფერო ადვილად ზიანდება. ასევე არსებობს ე.წ. ვაჟკაცობის ელემენტი, როდესაც მოზარდები მიიჩნევენ, რომ ნარკოტიკების მიღება არის ვაჟკაცობა. ხშირია შემთხვევები, როდესაც მოზარდები ხელოვნურად ისვამენ ნიშნებს, თითქოს ვენაში ნარკოტიკი აქვთ გაკეთებული. ეს ძალიან ცუდი ტენდენციების მაჩვენებელია, ვინაიდან, გამოდის, რომ მოზარდთა წარმოდგენაში ნარკომანია გარკვეულ ქულებს ჰმატებს პიროვნებას. მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებასაც, რომ დღეს ჩვენს სკოლებში, სრულიად განსხვავებული შესაძლებლობების ბავშვები არიან. ბავშვისათვის გულსატკენია, როდესაც ერთი მოწაფე „მერსედესით“ მოდის სკოლაში და ანტალიაში ისვენებს, მეორეს კი საჭმლის ფულიც არა აქვს, არა აქვს საშუალება, რომ გოგონა, რომელიც მოეწონება, ნაყინზე დაპატიჟოს, არა აქვს რიგიანი ტანსაცმელი და ხშირ შე-



მთხვევაში, ასეთი ბიჭები ეძებენ საშუალებას, რომ რაღაცით გამოირჩეოდნენ და ზოგიერთი ცუდ წრეში ხვდება და სავალალო გზას ადგება.

**–გოგოებში თუ იმატა ნარკომანთა რიცხვმა?**

–სამწუხაროდ, იმატა, მინდა მოგახსენოთ, რომ ახალგაზრდების ნაწილში ძალიან ცუდმა ტენდენციამ მოიკიდა ფეხი, ემანსიპაცია, დემოკრატიული ცხოვრების წესი თავაშვებულობად არის გაგებული. თუ შევადარებთ ევროპაში ქალების მიერ ნარკოტიკების მიღების ფაქტების რაოდენობას და დღევანდელ საქართველოს მდგომარეობას ამ მხრივ, ვნახავთ, რომ საქართველოში ქალ ნარკომანთა რიცხვი 10-ჯერ მეტია.

**–მართლაც საგანგაშო მაჩვენებელია. ბატონო გელა, მართალია, რომ თამბაქოს მწეველები უფრო მეტად არიან მიდრეკილნი ნარკოტიკული საშუალებებისადმი, ვიდრე არამწეველები?**

–დიახ, ეს გახლავთ პირველი ნაბიჯი ნარკოტიკებისაკენ, განსაკუთრებით გოგონებში, ასეთივე ფაქტორია ალკოჰოლური სასმელის მიღება. ტრადიციები, რომ ქალი არ უნდა სვამდეს და არ უნდა ეწეოდეს, მით უმეტეს, არ უნდა იკეთებდეს ნარკოტიკებს, არის ძალიან სწორი და ჯანსაღი ტრადიციები. ქალი, რომელიც ეწევა, სვამს, ეტანება ნარკოტიკებს, ძალიან ცუდი დედა და მეუღლეა, სოციალურად და ბიოლოგიურად.



**–როგორც ირკვევა, ძალიან ხშირია მზრუნველობამოკლებულ ბავშვებში წებოს ყნოსვა, ტოქსიკომანია, რის შემდეგაც ისინი ნარკოტიკების მიღებაზე გადადიან, ხდება თუ არა ამის მონიტორინგი?**

–შეიძლება ითქვას, რომ ამის მონიტორინგი ხდება, არსებობს სხვადასხვა ბავშვთა სახლები, სადაც კვების, სისუფთავის მხრივ საკმაოდ მაღალი რანგის მომსახურებაა, მაგრამ ბავშვები მაინც განაგრძობენ წებოს ყნოსვას, რადგან მიჩვეულნი არიან სტანდარტგადასულ ქცევას, ამიტომ საჭიროა მათი ცხოვრების წესის შეცვლა. ძალიან რთულია ბავშვისათვის, რომელიც მშობლებმა მიატოვეს და ქუჩაში იზრდება, აღადგინოს უფროსებისადმი ნდობა, იმის რწმენა, რომ იგი თავისთავად ღირებულებას წარმოადგენს, რომ ის უყვართ და რომ მასზე ზრუნავენ, უფროსების მხრიდან ასეთი ბავშვები ყოველთვის მოტყუებულნი არიან, ამიტომ ბავშვების სწორ გზაზე დასაყენებლად ძალიან მძიმე, ხანგრძლივი ფსიქოლოგიური შრომაა საჭირო.

**–შეიძლება ტოქსიკომანი ნარკომანად ჩაითვალოს?**

–საერთო კლასიფიკაციის მიხედვით, ნარკოტიკული საშუალებების მიღებასა და წებოს ყნოსვას შორის არანაირი სხვაობა არ არსებობს, წებოს მყნოსველები იგივე ნარკომანები არიან.

**–როგორც ცნობილია, ჰოლანდიაში ნებადართულია მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების გამოყენება, შემცირა თუ არა ამან ნარკომანთა რიცხვი?**

–ჰოლანდიაში კანონები უფრო მკაცრია, ვიდრე ჩვენთან, ეს პროექტი წამოწყებული იყო იმისათვის, რომ შემცირებულიყო ლტოლვა მძიმე ნარკოტიკებისადმი, დღეს კი, ოფიციალური მონაცემებით, ჰოლანდია მთელ ევროპაში პირველ ადგილზე გავიდა ნარკოტიკების პრობლემური მოხმარებით. პროექტმა საშინელი შედეგი გამოიღო.

**–მსოფლიოში არსებულ ნარკომანთა რეაბილიტაციის ცენტრებიდან რომელში იყენებენ, თქვენი აზრით, მკურნალობის ყველაზე ეფექტურ საშუალებებს?**

–ჩემთვის ცნობილია მსოფლიოს დაახლოებით ოცი ქვეყნის რეაბილიტაციის ცენტრების შესახებ. მათი მეთოდები განსხვავდება, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ როგორი ეფექტური საშუალებებიც არ უნდა გააჩნდეთ, მკურალობა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს, თუკი პაციენტს მართლა არა აქვს გადაწყვეტილი ნარკოტიკებისათვის თავის დანებება. ასეთი ცენტრები პაციენტთა მხოლოდ გარკვეულ პროცენტს შველის.

**–თქვენი ინსტიტუტის მიერ თუ იგეგმება რაიმე სახის ღონისძიებები მომავალში?**

–ჩვენ, სამწუხაროდ, დაფინანსებაზე ვართ დამოკიდებული, მაგრამ ამ რამდენიმე ხნის წინ საქართველოში ჩამოსულები იყვნენ იტალიელები, რომლებიც ამ პრობლემით არიან დაინტერესებულნი. ისინი იყვნენ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში, ჩვენთან, ინსტიტუტში, უკვე დაწყებულია გარკვეული მოძრაობაც, იმისათვის, რომ იტალიელების დახმარებით ზემო იმერეთის სოფელ წინწკილაში შევქმნათ ნარკოტიკების სარეაბილიტაციო ცენტრი, რაც წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ესაუბრა **ქეთი ჩოგოვაძე**

# რა და რა ჰქვია რას და რას



ა) ნაბიჯი;
ბ) ჩორთი;
გ) თოხარიკი;
დ) ოთხით, დაოთხებით ჭენება

ა



ბ



გ



დ



## სიტყვის კონა



**დაჩურჩვა** – ჩურჩის შემოცლა, დარჩევა, დამარცვლა (პარკოსანი მცენარის ნაყოფისა), კურკის გამოცლა (კურკოვანი ხილისათვის).

**სოხანე** – მიწის იატაკი.

**სოვდაგარი** – დიდი ვაჭარი, ბითუმად მოვაჭრე.

**ღარღლი** – ნაწყენობის, უკმაყოფილების გრძნობის ეჭვი.

**ღუღლი** – დაკბილული ნამგალი.

**ყარტლი** – სიბინძურე, ჭუჭყი.

**ყაჯარი** – უნაგირზე გადასაფარებელი დაქარგული ქსოვილი.

**ყევარი** – ორი უღელი ხარკამეჩი.

**ყინჩი** – მოხდენილი, ლამაზი.

**ყიყინი** – კამეჩის, ზაქის ხმიანობა.

**შანა** – რაიმე ნივთი, რომელსაც შეულოცავდნენ ხოლმე და ყელზე ან მაჯაზე აბამდნენ ავი თვალისაგან დასაცავად.

**შანდაკი** – 1. ვაკე მოსუფთავებული ადგილი. 2. ბათქაშის მოსასწორებელი, მოსაპირკეთებელი იარაღი.



# ფიქრის მარგალიტები



# 1918 იოსებ ნონეშვილი 1980

## არის ასეთი ქვეყანა

ვაზის ძირში დარწეული აკვანი,
სალამურის საამური კვნესა,
გმირობის და უკვდავების
ზღაპარი,
ხალხში თქმული
რუსთაველის ლექსად.
მამა-პაპის წმინდა სისხლით
ნაბანი,
მზის სხივებით ანთებული მარად,
უფსკრულებში ჩანჩქერების
ჩქაფანი,
მთებზე თოვლი,
ბულბულები – ბარად.
ზოგან ირმების ჯოგია,
ზოგან არწივნი ჰქრიან,
არის ასეთი ქვეყანა, –
მას საქართველო ჰქვია!
თვალტანადი ქალ-ვაჟების
ნათქვამი
იავნანა, ურმული და რერო,
სიცოცხლით და სიყვარულით
გამთბარი
ვენახები, ყანები და მდელო.
ერთ თხილის გულს ცხრა ძმას
ძმურად გაუყოფს,
მას თავისთვის განა მეტი უნდა?..
სურს მოყვარეს გულის კარი
გაუღოს,
სახლის კარი ღია არის მუდამ.
„ერი პურადი, გულადი“,
სტუმარს ღვთის კაცად სთვლიან...
არის ასეთი ქვეყანა, –
მას საქართველო ჰქვია!
ურმის ჭალებს შესეული ბავშვები,
ივრის ჭალებს – კაკაბი და გნოლი.
ჩვენს იმედად, მტერთა
რისხვად ნაშენი
ძველთაძველი თბილისი და გორი.
დეკემბერში ვარდის გამოშუქება,
ნოემბერში – ნარინჯების ეშხი,
წყალვარდნილებს
ელსადგური უხდებათ
და ქარხნების გუგუნია მთებში.
მისი დიდების ამბავი
საუკუნეებს მიაქვს,
არის ასეთი ქვეყანა, –
მას საქართველო ჰქვია.
აბა ვინ თქვას: თავის მთით და
ბარითა
პატარაა საქართველოს მიწა...
მზეს ეხება, ისე მაღლა ავიდა,
იალბუზით მეშვიდე ცას მისწვდა.
აუსია, რომ დაუხვდეს
გაზაფხულს,
ღვინით თასი, ყვავილებით კალთა;
სხვა ოცნება, სხვა დიდება
არა სურს
მშობელ ხალხის დღეგრძელობის
გარდა.
ღამით ვარსკვლავებს უღიმის,
დღისით მზეს ცეცხლისფრთიანს.
არის ასეთი ქვეყანა, –
მას საქართველო ჰქვია!

## დედაო საქართველოვ...

დედაო, საქართველოვ,
ჩვენო ეზო-კარო,
დაწმენდილო არაგვო,
ამღერეულო მტკვარო;
ალაზანო, შენი ხმა
ჭალას ძლივს რომ ესმის,
ყვირილაო, მყვირალო
იმერეთის მთებში;
ქუჩო, ჩუმო, უჩინოვ,
კლდის ლიბო რომ გმალავს
და კლდის თავზე ბერმუხავ,
ქედმაღალო მარად;
შევარდენო, მბრუნავო
მწვერვალებზე მაღლა
და ძირს, მინდვრის ხაოში
განაბულო ღალღავ;
უშიშარო არწივო,
მეხთან შენაბრძოლო
და ფერდობზე ბარდებში
გულმიშიშარა გნოლო;
ვარძიაში თამარის
წყაროვ, წყნარზე წყნარო
და შენ, პალიასტომის
ზვირთო, დაუმცხრალო;
რუხო, ნოქალაქევო,
ნისლს ახლაც რომ იხვევთ,
ჩვენო ახალქალაქო,
ჩვენო ახალციხევ;
ძველო დიოსკურიავ,
ზღვადაღვრილო გულზე
და ახალო რუსთავო,
მზეს ლაღად რომ უმზერ;
მამეულო მამულო,
ტბეთო, არტანუჯო,
აწეულო ცარგვალო,
დაქცეულო ბურჯო;
ზღვისპირეთში ზამთარშიც
გაზაფხულის დარო,
თიბათვეში თეთნულდზე
თოვლო დაუმდნარო;
ნარიყალას ბურჯებზე
მოდებულო ხავსო
და ახალო თბილისო,
შუქურბაღის მსგავსო;
დედაო, საქართველოვ,
ახალო და ძველო,
შენი წინსვლისა იყოს,
შენი სადღეგრძელო!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მსოფლიო კიდით კიდემდე

## დიდი ბრიტანეთი

### პრინცმა ჰარიმ საქველმოქმედო ფონდი დააარსა

ბრიტანელმა პრინცმა ჰარიმ ლესოტოში შიდსით გარდაცვლილი მშობლების ბავშვების სასარგებლოდ საქველმოქმედო ფონდი დააარსა.

ცხრა წლის წინ პარიზში ავტოკატასტროფაში დაღუპული დედის, უელსის პრინცესა დაიანას ხსოვნის პატივსაცემად ჰარიმ ფონდს „სენტებალე" („არ დამივიწყო") უწოდა.

ყმაწვილ პრინცს განზრახული აქვს გააგრძელოს დედის საქმე, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა შიდსთან ბრძოლის კამპანიაში. ლესოტო მან იმიტომ აირჩია, რომ შიდსით სიკვდილიანობის თვალსაზრისით, ამ აფრიკულ სახელმწიფოში საგანგაშო მდგომარეობაა – ყოველდღიურად აქ შიდსით 70 ადამიანი იღუპება.

## გერმანია

### კომპიუტერი ან მეგობრები

გერმანელი სოციოლოგების მიერ ჩატარებული მშობლებისა და მასწავლებლების გამოკითხვის შედეგებით გაირკვა, რომ ამ ქვეყნის ბავშვების დიდ უმრავლესობას მეგობარ-ამხანაგებთან ჰაერზე თამაშსა და გართობას შინ, კომპიუტერთან ჯდომა ურჩევნია. გერმანელ მოზარდთა ორი მესამედი ყოველდღე ორი საათით მაინც „ეთიშება" ცხოვრებას და მონიტორზე ან ცისფერ ეკრანზე მიშტერებული ატარებს დროს. ამის შედეგად კი მათ დიდ ნაწილს უჭირს თანატოლებთან ურთიერთობა და მეგობრების შეძენა.

## მექსიკა

### დელფინოთერაპიის კეთილი შედეგები

მექსიკელმა ექიმებმა დაასკვნეს, რომ გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვებზე სასიკეთოდ მოქმედებს დელფინებთან ურთიერთობა. საქმე ის არის, რომ თურმე დელფინების მიერ გამოცემული მაღალი სიხშირის ბგერები ასტიმულირებს ავადმყოფი ბავშვების ტვინის მუშაობას და ხელს უწყობს მოძრაობების კოორდინაციის გაუმჯობესებას. ისე რომ, მექსიკის ზოოპარკის დელფინარიუმში დღეს უკვე რეგულარულად მიმდინარეობს დელფინოთერაპიის სეანსები.

## სინგაპური

### საღეჭი რეზინი მხოლოდ ექიმის რეცეპტით

იმის გამო, რომ ქუჩები და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები ნაგვიანდება, სინგაპურში თითქმის ათი წელი იყო აკრძალული საღეჭი რეზინის წარმოება და გაყიდვაც. აკრძალვა მოიხსნა, უკვე, ღარც საღეჭი რეზინის ღეჭვა ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად და მაინც, ყველანაირი „სტიმოროლი" თუ „დიროლი" გაიცემა მხოლოდ აფთიაქებში, და ისიც მხოლოდ ექიმის რეცეპტით როგორც კბილების გამწმენდი საშუალება.

## აშშ

### კინო ყველაფერს ურჩევნიათ

ლუის ჰარისის სამსახურის სპეცსამსახურების მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით დადგინდა, რომ ტიუპურ ამერიკელ მოსწავლეს დღეში 11 საათი აქვს თავისუფალი. მოზარდების ყველაზე პოპულარული საქმიანობა კინოში სიარულია – გამოკითხულთა 86 პროცენტი სწორედ ამგვარ დასვენებას ამჯობინებს. 83 პროცენტმა განაცხადა, რომ მათ კითხვა უყვართ, კომპიუტერულ და ვიდეოთამაშებს რესპონდენტთა 63 პროცენტმა მიანიჭა უპირატესობა.

გარდა ამისა, ახალგაზრდებს უყვართ ცურვა, ველოსიპედით სეირნობა, საყვარელი მსახიობების კონცერტებზე სიარული და ბოულინგი.

# ჩვენი ენციკლოპედია

## სიტყვათა უცხოენოვანი ნაწილები

**ა...** (ბერძ.ა.. an – სიტყვის საწყისი ნაწილი, რომელიც უარყოფას აღნიშნავს. ამორალური, ანჰიდრიდი

**ავია...** (ლათ. avias ფრინველი) ავიაბომბი, ავიატექნიკოსი.

**ავტო...** (ბერძ. avtos თვითონ) – მნიშვნელობით შეესიტყვისება სიტყვებს „თავისი", „საკუთარი", „თვითონ", ავტორეფერატი.

**აგრო...** (ბერძ. agros მინდორი) – აგროტექნიკა

**ამფი...** (ბერძ. amphi ირგვლივ, ახლოს, ორივე მხრიდან ორმაგი) ამფითეატრი. ამფიბია.

**ანტი...** (ბერძ. anti) – გამოხატავს რაიმე საპირისპიროს ან მტრულს. ანტიბიოტიკი, ანტიფაშისტი

**ანთროპო...** (ბერძ. anthropos ადამიანი) ანთროპოლოგია

**არქეო...** (ბერძ. arhaios ძველი) არქეოლოგია

**არქი...** (ბერძ. უფროსი, მთავარი) არქიპელაგი, არქიეპისკოპოსი

**ასტრო...** (ბერძ. astron ვარსკვლავი) ასტრონავტი, ასტრონომია

**აცეტ...** (ლათ. acetum ძმარი) აცეტონი

**აერო...** (ბერძ. aer ჰაერი) აეროზოლი, აეროპლანი

**ბარო...** (ბერძ. baros სიმძიმე) – მნიშვნელობით შეესაბამება სიტყვას „წნევა", ბარომეტრი

**ბი** (ლათ. bi ორიანი, bis ორჯერ ორი ნაწილისაგან შემდგარი, ორი ნიშნის მქონე) ბიატლონი

**ბიბლიო...** (ბერძ. biblion წიგნი) ბიბლიოთეკარი, ბიბლიოფილი

**ბიო...** (ბერძ. bios სიცოცხლე) ბიოგრაფია, ბიოსფერო

**ვიბრო** (ლათ. vibrare კანკალი, რყევა) ვიბრომეტრი

**ვიდეო** (ლათ. video ვხედავ) ვიდეოტელეფონი

**ვიცე** (ლათ. vice სანაცვლოდ, მაგიერ) – მნიშვნელობით შეესაბამება სიტყვებს „მოადგილე", „თანაშემწე", ვიცეპრეზიდენტი

**გასტრო** (ბერძ. gaster მუცელი, კუჭი) გასტრონომი

**გრაფო..** (ბერძ. grapho ვწერ) გრაფოლოგია

**დე** (ლათ de .) – ნიშნავს მოშორებას, გაუქმებას, მოძრაობას ქვევით, დაშვებას, დემობილიზაცია. დეგრადაცია

**დეზ** (ფრ. des ) – ნიშნავს განადგურებას, რაიმეს მოშორებას ან არსებობას. დეზაქტივაცია

**დეკა** (ბერძ. deka ათი) დეკადა

**დერმატო** (ბერძ. derma კანი) დერმატიტი

**ექსტრა...** (ლათ. extra მეტისმეტად) ექსტრაორდინარული

**ზოო...** (ბერძ. zoon ცხოველი) ზოოპარკი

**იხტიო..** (ბერტ. ichtys თევზი) იქთიოლი

**კარდიო..** (ბერძ. kardia გული) კარდიოლოგია

**კრიპტო..** (ბერძ. kryptos საიდუმლო, ფარული) კრიპტოგრამა

**მეგა...** (ბერძ. megas დიდი) მეგაფონი

**მელო...** (ბერძ. melos სიმღერა) მელომანია

**მიკრო...** (ბერძ. mikros მცირე) მიკროფილმი

**მონო...** (ბერძ. menos ერთი, ერთიანი, ერთადერთი) მონოგრამა

**ნეო...** (ბერძ. neos ახალი) ნეოლოგიზმი

**პალეო...** (ბერძ. palaios ძველი) პალეოტიპი

**პოლი** (ბერძ. poly ბევრი) პოლიგრაფია

**ფსიქო...** (ბერძ. psyche სული) ფსიქიატრია

**სტერეო...** (ბერძნ. stereos მტკიცე, სივრცობრივი) სტერეოტიპი

**სუპერ...** (ლათ. super ზევიდან, უმაღლესი) სუპერმენი

**ტელე...** (ბერძნ. tele შორს) ტელეობიექტივი

**ულტრა...** (ლათ. ultra უფრო, ზე, მეტისმეტი) ულტრამოდური

**ფოტო...** (ბერძ. phos სინათლე) ფოტოგრაფია

**ჰიდრო...** (ბერძნ. hydor წყალი) ჰიდროლოგია

# გაუმარჯოს ნაყინს!

## ვინ, სად, როდის იგემა პირველად ნაყინი?

ნაყინის სამშობლო, ისევე როგორც ქაღალდისა და დენთისა, ჩინეთია. იქაურ მდიდარ ოჯახებში უკვე ჩვენს წელთაღრიცხვამდე მიირთმევდნენ გაყინულ ხილის წვენებს. მათი დამზადების რეცეპტები და შენახვის წესები ძალიან დიდხანს საიდუმლოდ ინახებოდა და მხოლოდ ჩვენს წელთაღრიცხვამდე XI საუკუნეში გამჟღავნდა უძველესი სიმღერების კანონიკურ კრებულში „შიკინგ“, სადაც პოეტურად იყო აღწერილი როგორც თავად გამაგრილებელი სასმელები, ისე ის საგანგებო სარდაფები, რომლებშიც „წყურვილის მომკვლელი ჯადოსნური საჭმელი“ თავის თვისებებს ინარჩუნებდა.

სხვა ცივილიზაციათა ქრონიკებს „ყინულოვანი საჭმლით“ გატაცების მაგალითები არ შემოუნახავს, თუმცა ისტორიიდან ამოკრეფილი ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ ყინულისა და თოვლისადმი როგორც კულინარული ინგრედიენტებისადმი, მრავალ ქვეყანაში ყოფილან კეთილად განწყობილნი. მაგალითად, იუდეველთა ბრძენი მეფის, სოლომონის ერთ-ერთ სიტყვაში მოხსენიებულია, რომ ჭირნახულის აღების დროს თოვლი და ყინული შრომას უმსუბუქებდა ხალხს. მედიცინის მამა ჰიპოკრატე თვითონაც გახლდათ გაყინული წვენების თაყვანისმცემელი და თავის პაციენტებსაც ურჩევდა „გაყინული წვენები მიერთვათ“, რადგანაც „იგი განწყობასაც ახალისებს და წვენების გამოცოცხლებასაც უწყობს ხელსო“. ლეგენდარული ალექსანდრე მაკედონელი, რომელიც ყინულზე ჩაციებული ღვინოების დიდი მოყვარული გახლდათ, სპარსეთსა და ინდოეთში ლაშქრობების დროს „თოვლიანი წვენებით“ გრილდებოდა. დაბანაკდებოდა თუ არა ალექსანდრეს ჯარი, სპეციალური რაზმები უმალ იწყებდნენ ორმოების თხრას, რომლებშიც მთიდან ჩამოტანილ თოვლს ყრიდნენ და ტკეპნიდნენ. მიწის ფენებით და ტოტებწაყრილი თოვლი თვეობით ინახებოდა ორმოებში. თავად მეფე და მისი მხედართმთავრები მალი-მალ მიირთმევდნენ ამ ერთი შეხედვით უცნაურ ნუგბარს, რიგით ჯარისკაცებს კი მხოლოდ მორიგი გამარჯვებისათვის ურიგებდნენ ტკბილ თოვლს, როგორც დიდ ჯილდოს. ხოლო რომის იმპერატორი ნერონი ვარდის წყლის, თოვლის, ხილისა და ხის ფისის ნარევს საგანგებოდ მისთვის ჩამოტანილ თოვლს უმატებდა და ისე იტკბარუნებდა პირს.



და მაინც ნამდვილი ნაყინის ისტორია 1292 წელს დაიწყო, როცა ვენეციელი მარკო პოლო აზიაში ოცწლიანი მოგზაურობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. სხვა ძვირფას რელიკვიებთან ერთად მოგზაურმა ჩინური „გაყინული წყლის“ რეცეპტიც ჩამოიტანა. მან თანამემამულეებს უამბო, რომ ამ „წყალს“ წარჩინებულ ჩინურ ოჯახებშიც მიირთმევდნენ და პირდაპირ იმ პატარ-პატარა დუქნებშიც, სადაც მას ამზადებდნენ. იტალიელებს ძალიან მოეწონათ ჩინური ტკბილეული. სამეფო კარის კულინარებს სასტიკად აეკრძალათ მისი დამზადების საიდუმლოს გამჟღავნება. საიდუმლოს გამცემს დასჯა ემუქრებოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ეგზოტიკური საჭმლის დამზადების რეცეპტი სამ საუკუნეზე მეტხანს არავის გაუტანია იტალიიდან. ნაყინის შესახებ მეზობელ საფრანგეთშიც კი არაფერი იცოდნენ.

საიდუმლომ მხოლოდ მას შემდეგ გაჟონა, რაც 1553 წელს ფლორენციელი ეკატერინე მედიჩი ანრი II-ს გაჰყვა ცოლად და საფრანგეთის დედოფალი გახდა. საქორწინო სუფრაზე დესერტად ფორთოხლის, ლიმონის და ჟოლოსაგან დამზადებული ნაყინი მიართვეს. ის იყო და ის – ნაყინმა წამყვანი ადგილი დაიკავა ფრანგულ სამზარეულოში. სულ მალე ნაყინის დამზადების ხელოვნება საფრანგეთის სამეფო კარზეც სახელმწიფო საიდუმლოდ გამოცხადდა. ის კი არა, დედოფლის ამალაში ახალი მაღალი მოხელის თანამდებობაც კი გაჩნდა: ნაყინის კონდიტერი, რომელიც პირადად აგებდა პასუხს მისი დამზადების საიდუმლოზე. პირველ „ევროპელ მენაყინეს“ ჰერალდი ტისაინი ერქვა. ამასობაში, 1649 წელს კრომველის განკარგულებით მეფე კარლს თავი მოკვეთეს, ტისაინმა იხელთა, პარიზში დაბრუნდა და თავისი საუკეთესო დესერტის „ყინულოვანი ნეაპოლელის“ რეცეპტი იქაურ საუკეთესო კაფეს მიჰყიდა. ასე დაიწყო „საჯარო ნაყინის“ ეპოქა. 1972 წელს იტალიელმა ფრანჩესკო პროკოპიო დელ კონტელიმ, რომელსაც ლუი XIV-სგან ნაყინის დამზადების პრივილეგია ებოძა, პარიზში გახსნა კაფე „პროკოპე“, რომელიც დღესაც არსებობს საფრანგეთის დედაქალაქში. „პროკოპეს“ მუდმივი სტუმრები იყვნენ ვოლტერი, დიდრო,რუსო, სხვა მრავალი გამოჩენილი ადამიანი. ოთხ წელიწადში „ყინულოვანი ციებ-ცხელება“ მთელ პარიზს მოედო: ახლა უკვე 250 „ლიმონადიე“

(ასე ერქვათ ნაყინით მოვაჭრეებს) სთავაზობდა პარიზელებს თავის საქონელს.

მაშინ, როცა საფრანგეთის დედაქალაქის მოსახლეობა ნაყინით გრილდებოდა, გერმანელებს მის შესახებ არაფერი სმენოდათ. დიდი დაგვიანებით გაუსინჯეს ფრანგების მეზობლებმა გემო ამ „თოვლიან ნუგბარს". სხვათაშორის, გერმანიის ქალაქ ჰამბურგში არსებული კაფე-სანაყინე „ალსტერპავილიონი", თუმცა კი „პროკოპზე" 130 წლით ახალგაზრდაა, ერთ-ერთი უძველესია ევროპაში. სხვათა შორის, ჰამბურგის სანაყინეც ფრანგმა ემიგრანტმა ვიკონტმა აუგუსტინ ლანკლოტ დე კვანტრე ბარბესმა დააარსა.

ამერიკამდე ნაყინმა დაახლოებით 1700 წელს ჩააღწია. დღეს კი ამერიკა მსოფლიოში ნაყინის უდიდესი მომხმარებელია. ერთი ამერიკელი წელიწადში საშუალოდ 25 ლიტრ ათასგვარ ნაყინს ჭამს, ამასთან ყველაზე დიდ აქტიურობას 2-დან 12 წლამდე და 45 წლის და უფრო უფროსი მოქალაქეები იჩენენ. მთლიანად კი ყველა ამერიკელი ერთად წელიწადში თურმე 2 მილიარდზე მეტი დოლარის ნაყინს მიირთმევს. მეორე მსოფლიო ომის დროს ნაყინი აუცილებლად შედიოდა ჯარისკაცურ რაციონში. 1945 წელს კი საგანგებოდ იმ მეზღვაურებისათვის, რომელთა სამხედრო ხომალდები წყნარ ოკეანეში დაცურავდა, „მცურავი კაფე-სანაყინე" შეიქმნა.



1984 წელს აშშ-ს მაშინდელმა პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა ივლისი ნაყინის ეროვნულ თვედ გამოაცხადა, ივლისის ბოლო კვირა კი ტრადიციულად ნაყინის ეროვნული დღეა. რატომ მაინცდამაინც ივლისი? იმიტომ, რომ ამ თვეში ნაყინით ვაჭრობა თავის მწვერვალებს აღწევს – ყველაზე მეტი ნაყინი სწორედ ივლისში იყიდება.

საქართველოში ამგვარი ოფიციალური სტატისტიკა ჯერჯერობით არ არსებობს, მაგრამ თუ ჩვენებური ივლისის სიცხეებს გავითვალისწინებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენშიც სწორედ ზაფხულის ამ თვეში მიირთმევენ ყველაზე მეტ ნაყინს.

ამერიკელებს ყველაზე მეტად ვანილის ნაყინი ყვარებიათ, მერე კი შოკოლადის, თუმცა ბოლო დროს თურმე უპირატესობას ანიჭებენ „დოლსე და ლეჩეს" (რძიანი ტკბილეული), რომელიც სამხრეთ ამერიკიდან შემოსულა.

ნაყინის მწარმოებლები ამრავალფეროვნებდნენ და აუმჯობესებდნენ საკუთარ პროდუქციას. იწერებოდა და ქვეყნდებოდა სამეცნიერო ნაშრომები, ტრაქტატები და წიგნები „გაყინული დესერტის" მომზადების ხელოვნების შესახებ. გაჩნდა ნაყინის დასამზადებელი სპეციალური აპარატები, რომლებიც ძალზე პოპულარული გახდა მრავალ ქვეყანაში. ერთი ასეთი მოწყობილობა 1820 წელს წმ. ელენეს კუნძულზე გადასახლებულ ნაპოლეონსაც კი გაუგზავნეს საჩუქრად.

„ყინულოვანი ნუგბარის" ისტორიასთან ბევრი გამოჩენილი ადამიანის სახელია დაკავშირებული. მათ რიცხვშია ცნობილი ფრანგი ბუნებისმეტყველი რენე ანტუან რეომიური (ტემპერატურა დღესაც მისი შკალის მიხედვით განისაზღვრება). ფრანგ მეცნიერს თურმე „რბილი" ნაყინიც გამოუგონებია. XIX საუკუნის შუა წლებში პარიზში გამოჩნდა ნაყინი ჭიქებში და პლომბირი, იტალიაში – ნაყინის ასორტი, ვენაში – ყავაგლიასე. საუკუნის მიწურულს იტალიიდან ემიგრირებულმა ამერიკელმა იტალო მარჩინომ ნაყინის ხელის ურიკით ჩამოტარება დაიწყო და ატყდა ნაყინის ახალი ბუმი. 1904 წელს სენტ-ლუიზაში გამართული საერთაშორისო გამოფენის სტუმრები კონუსურ მილაკებში მოთავსებულ ნაყინს მიირთმევდნენ, დანიაში, იტალიაში, შვედეთში გაჩნდა ნაირ-ნაირი: ცეცხლის ალის მოყვანილობის, შაბისებრი, ბურთულებად დაგუნდავებული, აბის ფორმის და სპეციალურად რესტორნებისათვის განკუთვნილი დიდებული, საზეიმო ნაყინი.

ამბობენ, თითქოს ესკიმო 1919 წელს ამერიკელ ქრისტიან ნელსენს გამოუგონებია – ჩვეულებრივი ნაყინისთვის შოკოლადის ჭიქური შემოუვლია და სახელად „ესკიმო-პაი" ესკიმოს ღვეზელა დაურქმევია, ნელსენის თანამემამულეს, ვინმე ჰარი ბუსტს კი საკუთარი გოგონას კარნახით, ეს ღვეზელი ჯოხზე წამოუცვამს. სხვა ვერსიით კი, ათიოდ წლის წინ ყველის წარმოებით განთქმულმა ბელგიურმა ფირმა „ჟერვემ" საზეიმოდ აღნიშნა ესკიმოს წარმოების 60 წლისთავი. როგორც გაირკვა, კომპანიის ერთ-ერთ დამაარსებელს, შარლ ჟერვეს ამერიკაში უმოგზაურია, იქ ხილის ნაყინი გაუსინჯავს და აღტაცებული დარჩენილა. სამშობლოში დაბრუნებულს კი ნაყინის შოკოლადის ფენით დაფარვა და ჩხირზე წამოგება გადაუწყვეტია. ჟერვეს სიახლე იყიდებოდა ერთ-ერთ პარიზულ კინოთეატრში, სადაც აჩვენებდნენ ფილმს ესკიმოსთა ცხოვრებიდან, ვიღაც ენამახვილ მაყურებელს, რომელიც ნაყინის ჭამა-ჭამით უყურებდა ფილმს, ესკიმო უწოდებია მისთვის.

ზუსტად არც ის არის ცნობილი, თუ ვის მიერ ან სად შეიქმნა პირველად „პლომბირი". ირწმუნებიან, რომ პლომბირი ცნობილი ფრანგი კონდიტერის გვარია. ასეა თუ ისე, პლომბირი ჭარბცხიმიანი ნაყინია და თუ გასუქების გეშინიათ, მაინცდამაინც ნუ მიეძალებით მას. მადლობა ღმერთს, ნაყინის უამრავი ნაირსახეობა ჩვენშიც გაჩნდა, ასე რომ, აირჩიეთ.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცოდნა, პასუხისმგებლობა, კეთილშობილება

გარდაბნის №1 ქართული საშუალო სკოლა (დირექტორი ქ-ნი თინა (ნატო) აფრასიძე) ერთ-ერთი საუკეთესოა რეგიონში. პირველი ნახვისთანავე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს საგულდაგულოდ დასუფთავებული კოხტა სასკოლო ეზო, იგივე გრძნობა გეუფლებათ სკოლაში შესვლისას. კოპწია გოგო-ბიჭები და მზრუნველი პედაგოგები ჯანსაღ გარემოს ქმნიან. სკოლაში 500-მდე მოსწავლე და 50-მდე პედაგოგია. წარჩინებულ მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა მაღალკვალიფიციური პედაგოგების დამსახურებაა. გასულ წელს 20 აბიტურიენტიდან უმაღლესში ჩაირიცხა 12, აქედან 6-მა მიიღო სახელმწიფო გრანტი. ნინო ნარიმანიძე, ანა ფერაძე, მამუკა რეხვიაშვილი, დათო გვირგვლიანი, მარიკა ირემაძე, კახა კარტოზია, გიორგი ოყროშიძე – ეს მცირედი ჩამონათვალია ძირითადი ბირთვისა, რომელიც დღეს ამ სასწავლებლის სახეს წარმოადგენს. არსებობის 21 წლის მანძილზე სკოლამ არაერთი ღირსეული ადამიანი აღზარდა, მათ შორის: ალეკო კალანდაძე, დავით ჩადუნელი, შორენა შველიძე, ზვიად მაჩაბელი, მანუჩარ ჯოხაძე, რეზო ეგაძე, მაია ელბაქიძე და სხვები. სკოლა მხოლოდ წარსულით არ ცხოვრობს, მას უკეთესი აწმყო და კიდევ უფრო პრესტიჟული მომავალი აქვს. სადღეისოდ სკოლაში არჩეულია თვითმმართველობის ორგანო, რომელსაც სათავეში მეათეკლასელი ნინო ბაფხოშვილი უდგას, ფუნქციონირებს მეთოდგაერთიანების კათედრა, სკოლას ჰყავს ქორეოგრაფიული ანსამბლი „თეთნულდი", რომელსაც მუსკომედიის თეატრის მსახიობი სოსო ტვილდიანი ხელმძღვანელობს. ქართული ნაციონალური აკადემიური ბალეტის „სუხიშვილების" 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ხალხური ცეკვის რესპუბლიკურ ფესტივალზე „თეთნულდს" ლაურეატის წოდება მიენიჭა და მისი წევრები დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

ნორჩ შემოქმედთა გუნდში ხალხურ სიმღერებს, ხალხურ საკრავებზე დაკვრას სწავლობენ, არტისტული მონაცემების მქონე ბავშვებისთვის მოქმედებს თეატრალური სარდაფი (ხელ. სოსო ტვილდიანი). „ჯადოსნური ფუნჯი" ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვებს მასპინძლობს. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისთვის სპორტის მრავალ სახეობაში ცალკე სექციები მოქმედებს: ძიუ-დოს, კარატეს, კალათბურთის (ხელ. ნოდარ კვანჭიანი), ჭადრაკის (ხელ.ნატო ჯიქია). სკოლის სპორტსმენებს თითქმის ყველა სახეობაში აქვთ მოპოვებული წარმატებები, ამ სკოლის ყოფილი მოსწავლე – რუსლან იოსელიანი სკოლაში სწავლისას შავი ქამრის მფლობელი გახდა.

სკოლაში გახსნილია საგნობრივი წრეები: მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ნორჩ მათემატიკოსთა, ქიმიკოსთა, ფიზიკოსთა, რუსული ენისა და ლიტერატურის, ნორჩ ნატურალისტთა, ისტორია – მხარეთმცოდნეობის ყოველივე ეს კი საწყისი გზაა ოლიმპიადებსა და კონფერენციებში გამარჯვებისაკენ. სკოლის რაიონული გამგეობის 9 სტიპენდიატი ჰყავს. აქ იზრდებიან მომავალი პოეტები: ნინო თამაზაშვილი (IXკლ.), თეონა ჭელიძე (IXკლ.), რომელმაც რაიონული მასშტაბით მხატვრულ კითხვაში გრანპრი მოიპოვა, ელენე ლობჯანიძე (V კლ.), მომავალი მხატვრები თამუნა გვიანიშვილი (VIII კლ.), ოთარ მეტრეველი (VII კლ) და რაც მთავარია, კარგი ბუნების, ზნეკეთილი ადამიანები. როგორც ამ სკოლის დირექტორი ქალბატონი თინა აფრასიძე ბრძანებს, უპირველესია კეთილშობილ ადამიანებად ჩამოყალიბება, სხვა ყველაფერი ზედნაშენია. საორგანიზაციო საკითხები უნდა მოგვარდეს, რათა დამყარდეს წესრიგი – ეს არის ყველაზე მთავარი. მე გვერდით მყავს ისეთი ადამიანები, მოადგილე სასწავლო დარგში რუსუდან კერესელიძე და აღმზრდელობით დარგში ნანა ყანდიაშვილი, რომლებიც დიდი გულმოდგინებით არიან ამ საქმეში ჩართულნი და სრული დატვირთვით მუშაობენ. არ შეიძლება ამაგი არ დავუფასო ჩემს პედაგოგებს: კლარა ფურელიანს, ნაზი ბლიაძეს, მანანა ონიანს, ეკა ხარძიანს, გულო ფოლადაშვილს, ინეზა ჩარკვიანს, ემა ნემსაძეს, ქეთინო მაღრაძეს და სხვებს, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობენ. ამჟამად ყველაზე მეტად დატვირთულია ჩვენი მნე – ბ-ნი ზალიკო ლომთაძე, რადგან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ი. გოგებაშვილის პროგრამით მიმდინარეობს ჩვენი სკოლის კაპიტალური შეკეთება. უთუოდ უნდა ითქვას მშობელთა აქტივობის შესახებაც, ბევრი მათგანი ძალიან გვეხმარება და სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც იღებს მონაწილეობას და ბოლოს მინდა აღვნიშნო რაიონის გამგებლის ბ-ნ დავით მაღრაძის თანადგომა, რომელსაც ნებისმიერ საქმეში ვგრძნობთ, რისთვისაც მინდა მთელი კოლექტივის სახელით მადლობა გადავუხადო. ბატონი დავითის ყურადღება და მხარდაჭერა დიდი სტიმულია ჩვენი სკოლის წარმატებისთვის.

***P.S.* ახლახან დასრულდა საარჩევნო ვნებათაღელვა, სამეურვეო საბჭოს კანდიდატებმა კენჭი უკვე იყარეს და გარდაბნის №1 ქართულ საშუალო სკოლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა ასე გამოიყურება:**

***პედაგოგები* ეკა ხარძიანი, ჯილდა ჯაოიანი, რუსუდან ტვილდიანი, სოსო ტვილდიანი, რომან ღლონტი.**

***მშობლები:* რეზო ეგაძე, მზია ჯიქია, ვაჟა ფერაძე, ქეთევან მაჩაბელი, ნანა ხარძიანი.**

***რაც შეეხება თვითმმართველობის წარმომადგენელს, მას სასწავლო წლის დასაწყისში აირჩევენ და ამ სიას დაამატებენ.***

**მანანა ჯანგირაშვილი**

გარდაბანი

მაპატიე, რაღაც უნდა მეთქვა,
ყველაფერი ვერ გითხარი მაშინ,
როცა წვიმდა და ხანდახან თოვდა,
და ვიღაცა შენზე ფიქრებს მთხოვდა,
ყველაფერი გავაყოლე წარსულს,
გადმოფრინდა თეთრი გედი ჩემთან,
დავიწყება ვერ შევძელი შენი...
ვერ გითხარი – რაღაც უნდა მეთქვა!

**თეონა ჭელიძე**, ქ.გარდაბნის №1 საშ. სკოლის IX კლასის მოსწავლე

**ჩემს ქეთი მასწავლებელს!**

დიდი ნაღველით და დიდი სევდით
მივდივარ სხვისკენ და თქვენ გიცქერით
ეგ სევდიანი თქვენი თვალები
გამაცილებენ მე გულისტკენით.

**ელენე ლობჯანიძე**, ქ. გარდაბნის №1 საშ. სკოლის V კლ. მოსწავლე

* * *

ცვრიან ბალახზე მიბაჯბაჯებს
პატარა ბავშვი,
მას თვალებში აქვს საოცარი
სიცოცხლის ძალა,
წაიბორძიკებს, დაემხობა მიწას
ნორჩ გულით,
მისი ცრემლი გულს დაულბობს
პატარა ბალახს.
წამსვე გაჩნდება მასთან რწმენის
თბილი ალერსი,
ნუ სტირი, – ჩუმად დაამშვიდებს
ალალი რწმენა,
შენ რომ მიყვები ამ პატარა
ნამიან ბილიკს,
ცხოვრების გზა კი უსასრულოდ
მიედინება.

**ნინო თამაზაშვილი**, ქ. გარდაბნის №1 საშ. სკოლის IX კლ. მოსწავლე

# ვინ, რა? როგორ? რატომ? სად? როდის? რამდენი?

## რომელი ქართული სახელებია ყველაზე პოპულარული?

ქალის სახელებიდან ყველაზე პოპულარულია თამარი (ეს სახელი 100 ათასზე მეტ ქალს ჰქვია), ნინო (92937), მაია (999131), ნანა (45008), მარიამი (43698). მამაკაცის სახელებიდან ყველაზე გავრცელებულია გიორგი (148 ათასი), დავითი (77 ათასი), ზურაბი (50 ათასი), ალექსანდრე (43 ათასი), ლევანი (42 ათასი), მიხეილი (36 ათასი). ისე რომ საქართველოში ყველაზე მეტ ქალს თამარი ჰქვია, ყველაზე მეტ მამაკაცს კი – გიორგი.

## საშიშია თუ არა გველის შხამი სხვა გველისთვის?



იმავე სახეობის გველისთვის გველის შხამი საშიში არ არის. ვთქვათ, გველგესლასი – სხვა გველგესლებისთვის, გიურზასი – სხვა გიურზებისთვის. უცხო გველის შხამისგან კი გველი აუცილებლად დაიღუპება. თუმცა გამონაკლისებიც არსებობს. მაგალითად, ინდოეთის ბინადარი სამეფო კობრა სხვა შხამიან გველებზე ნადირობს. თვითონ კობრას კი მათი შხამი სულაც არ ვნებს. სამხრეთაფრიკული მასურანაკი, თუმცა თვითონ შხამიანი არ არის, მხოლოდ შხამიანი გველებით იკვებება.

## როდის და სად გაჩნდა მუსიკა?

მუსიკის ფესვები კაცობრიობის ისტორიის ულრმეს წიაღშია საძიებელი.

მაგალითად, ჩინეთში, მოაგოს გამოქვაბულში მეცნიერებმა აღმოაჩინეს უჩვეულოდ ლამაზი და ნატიფი კედლის მხატვრობა. ერთ-ერთ ნახატზე ორი მშვენიერი ასულია გამოსახული, მათგან ერთი ფლეიტის თუ სალამურის მსგავს საკრავზე უკრავს, მეორე კი – სიმებიან საკრავზე. ეს სცენა 1300 წლის წინათ არის დახატული.



კიდევ უფრო ძველი, 2400 წლისაა თიხის ლარნაკის მოწითალო ფონზე შავი შტრიხით დახატული ბერძენი ჭაბუკი, რომელიც ორმაგ სალამურს არაკრაკებს. მეორე ასეთივე ლარნაკზე აშკარად მუსიკის გაკვეთილია ასახული.

ასურბანიფალი დაახლოებით ძვ. წელთაღრიცხვით 669-633 წლებში მეფობდა ასურეთში და მისი სასახლის ქვის კედლებზე ამოკვეთილ ერთ-ერთ სცენაში წარმოდგენილია მუსიკოსი, რომელიც მსხვერპლშეწირვის დროს უკრავს სიმებიან საკრავზე.

ამგვარი მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ ისინი მხოლოდ მუსიკის უძველეს წარმომავლობას ადასტურებენ.

## რატომ იკბინება ასე მწარედ ჭინჭარი?

ჭინჭარს ფოთლებისა და ღეროების მთელ ზედაპირზე კანის ჩვეულებრივ უჯრედებს შორის გრძელი უჯრედებია, რომლებიც შეუიარაღებელი თვალით ბუსუსებს ჰგავს. თუ მიკროსკოპით დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ეს უჯრედები ბოთლებს წააგავს, რომლებიც მსუსხავი შხამიანი წვენით არის სავსე. იმისთვის, რათა წვენი არ გადმოიღვაროს, ამ უჩვეულო ჭურჭლის ყელის თავი დახურულია. სწორედ ამ თავის ქვეშ არის ბოთლის კედლები ყველაზე თხელი, ისე რომ ოდნავი შეხებით თავი ირიბად ტყდება და მის ნაცვლად ბოთლს ახლა წვეტიანი ნესტარი უჩნდება, რომელიც „მტერს" ტანში ესობა და მსუსხავ წვენს უშხაპუნებს. ასე იცავს თავს ჭინჭარი.

## ზღვის ვარსკვლავი მართლა ცოცხალი არსებაა?

ზღვის ვარსკვლავი ცოცხალი არსებაა. მათ შესახებ ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა იცოდნენ, ზღვის ვარსკვლა-



ვებიც სწორედ ბერძნებმა უწოდეს. მეცნიერთათვის ცნობილ 1500 ზღვის ვარსკვლავს შორის უზარმაზარებიც გვხვდება და სულ პაწაწკინტელებიც. ყველაზე დიდი ზღვის ვარსკვლავი 4,5 კილოგრამს იწონის, მისი დიამეტრი კი 80 სანტიმეტრია. თითქმის უკლებლივ ყველა მშვენიერი ვარსკვლავი მტაცებელია. ისინი თამამად ესხმიან თავს ზღვის ფსკერის სხვა ბინადრებს – მოლუსკებს, კიბოებს და ზღვის ზღარბებსაც კი.

# ათონის ივერონი

ათონის ნახევარკუნძულის მდებარეობამ, საუცხოო ჰავამ, ზეთისხილის ბაღებით, ფიჭვის, წიფლისა და მუხის ტყეებით დაფარულმა მთა-გორებმა ჯერ კიდევ VII საუკუნეში მიიქცია მოწესეთა ყურადღება. ამ დროიდან მოყოლებული, აქაურობა ჯერ განდეგილებმა შეიგულეს სულის თავშესაფრად, მერე კი ათონზე მონაზვნებმაც იწყეს დასახლება. 963 წელს ცნობილმა ბიზანტიელმა სამონასტრო მოღვაწემ ათანასიმ აქ პირველი მონასტერი დაარსა. მალე აქ სხვა მონასტრებიც გაჩნდა, მათ შორის ქართულიც.



ათონის ქართული მონასტრის დაარსება ორი ტაოელი დიდაზნაურის იოანესა და თორნიკეს სახელებს უკავშირდება. ერისკაცობაში ორივე მეფე დავით კურაპალატის კარზე დიდად მიღებული პირი და სახელოვანი მხედართმთავარი ყოფილა. ბერად აღკვეცის შემდეგ იოანე ჯერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოთხთა ეკლესიაში მოღვაწეობდა, შემდეგ ბითვინიის ოლიმპზე გადავიდა (მცირე აზია) ხოლო მოგვიანებით დავით კურაპალატის მიერ ბიზანტიის იმპერატორთან მძევლად დატოვებული თავისი ვაჟიშვილის ექვთიმეს კონსტანტინოპოლიდან ჩამოყვანის შემდეგ მასთან და რამდენიმე მოწაფესთან ერთად ათონზე გაემგზავრა და ათანასის მიერ დაარსებულ ტაძარში დამკვიდრდა.

გამოხდა ხანი და თორნიკეც ბერად აღიკვეცა, იოანედ იწოდა და ათონს მიაშურა. ორი ქართველი იოანეს მოღვაწეობამ სხვაც ბევრი ქართველი სასულიერო პირი მიიზიდა ათონზე. მალე ქართველი ბერებისთვის ცალკე მონასტრის აგების აუცილებლობა სრულიად აშკარა გახდა და მოკლე ხანში ათონზე გაჩნდა ქართველ ბერ-მონაზონთა პირველი დამოუკიდებელი სავანე – ათანასის ლავრიდან დაახლოებით კილომეტრნახევრის მოცილებით იოანე მახარებლის სახელზე აშენებული ეკლესია სენაკებითურთ.

მერე და მერე მოვლენები ქართველთა სასიკეთოდ წარიმართა – 976 წ. მცირეაზიელი ფეოდალის ბარდა სკლიაროსის აჯანყებით შეშინებულმა ბიზანტიის საიმპერატორო კარმა დახმარება ქართველთა მეფეს დავით კურაპალატს სთხოვა, ამ საქმეში მოციქულობა კი თორნიკეყოფილ იოანეს მიანდო. დავითმა შეისმინა ერთმორწმუნე ქვეყნის თხოვნა და ბიზანტიელთა ჯარს 12 ათასი ქართველი მეომარი მიაშველა. მაშინ იყო, თორნიკემ რომ ბერის კაბა გაიხადა, კვლავ აბჯარ-მუზარადით შეიმოსა და კიდევ ერთხელ უსარდლა ლაშქარს. 979 წ. მდინარე ჰალისის პირას გამართულ ბრძოლაში ბარდა სკლიაროსი სასტიკად დამარცხდა. ამ გამარჯვებაში გადამწყვეტი სიტყვა ქართველებმა თქვეს, ამიტომაც ბიზანტიის დედოფალმა ბრძოლაში მოპოვებული მთელი ნადავლი თორნიკეს დაუტოვა და მადლიერების ნიშნად უხვადაც დაასაჩუქრა. სწორედ ამ სახსრებით მოახერხეს ქართველებმა ათონზე მიწის შეძენა და ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის სახელზე ეკლესიების, სამონასტრო ნაგებობების აშენებაც და მამულების ყიდვაც.

მონასტრის მშენებლობის გასრულებისთვის ეს უკვე ქართველთა დამოუკიდებელი სავანე იყო, რომლის პირველ წინამძღვრად იოანე ქართველი აირჩიეს. აქ მოღვაწე ბერების ძალისხმევით მალე ივერთა მონასტერი ათონის მთის ერთ-ერთ წამყვან სამონასტრო ცენტრად იქცა. მისი პირველი წინამძღვარი, იოანე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელ წმიდა მთაზეც და ბიზანტიის საიმპერატორო კარზეც.

ივერთა მონასტერი (ანუ, როგორც მას ბიზანტიელები უწოდებდნენ, ივირონი) ქართული განათლებისა და მწიგნობრობის მნიშვნელოვან კერად იქცა. მისი დამაარსებლების ზრუნვით დაიწყო ბერძნული სადვთისმეტყველო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა-გამრავლება. ძალზე ინტენსიურად მუშაობდა თარგმანზე თავად იოანე, მოგვიანებით მას მხარში ამოუდგა შვილი, ათონის ქართული მონასტრის მომდევნო წინამძღვარი ექვთიმე ათო-



ნაჭედი ჯვარი
ივერთა მონასტრიდან

## საქართველოს ისტორია



ნელი (მთაწმინდელი, იბერი), რომელმაც დააფუძნა ქართული მწიგნობრობის ის ბრწყინვალე სკოლა, ესოდენ დიდი წვლილი რომ შეიტანა ქართული აზროვნების, ლიტერატურის, საერთოდ კულტურის განვითარებაში.

თავად ექვთიმემ ქართულად უზადოდ თარგმნა სასულიერო მწერლობის თითქმის ყველა დარგის თხზულებები. იმავე დროს მას იმდენად სრულყოფილად სცოდნია ბერძნული ენა, რომ ქართულიდან ბერძნულადაც თარგმნიდა. კერძოდ, მას უთარგმნია „ბალავარიანი" და „აბუკურა". უფრო მეტიც. ექვთიმე ათონელს ბერძნულად სამონაზვნო ცხოვრების წესის შესახებ ორიგიალური თხზულებაც დაუწერია.

იოანეს და ექვთიმეს მეცადინეობით ათონის ქართულ მონასტერში ჩამოყალიბდა მწიგნობარ-გადამწერთა მთელი ჯგუფი: იოანე ხახულელი, არსენ ნინოწმინდელი, ოქროპირი, იოანე გრძელისძე და სხვები.

იოანეს და ექვთიმეს საქმიანობა-მოღვაწეობა ღირსეულად განაგრძო ექვთიმეს შემდგომმა წინამძღვარმა გიორგი მთაწმინდელმა. გიორგი მონასტრის ეკონომიკურ მომძლავრებაზეც ზრუნავდა და აქ მიმდინარე მთარგმნელობით-შემოქმედებითი საქმიანობის გავრცობაზეც, წინამორბედთა მსგავსად, გიორგიმაც მრავალი თხზულება თარგმნა (თვენი, დავითნი, დიდი სვინაქსარი, სამოციქულო და სხვ.) და ორიგინალური თხზულებაც დაწერა. „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთიმესი და უწყება ღირსისა მის მოქალაქობისა მათისა". რომელიც გარდა იმისა, რომ დაწერილებით მოგვითხრობს იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება-მოღვაწეობაზე, საქართველოს და ბიზანტიის ისტორიის მნიშვნელოვან წყაროსაც წარმოადგენს. ამასთან გიორგი მთაწმინდელმა ამ თხზულებით ათონის ბერძენ ბერთა მოძალების ჟამს სარწმუნოდ დაამტკიცა, რმ მონასტერი კანონიერად ეკუთნოდა ქართველებს, რომლებსაც უდიდესი ღვაწლი და დამსახურება მიუძღოდათ როგორც ბიზანტიის ხელისუფლების, ისე ათონის სავანეების წინაშე.

ათონის ქართულ სავანეში შემდგომშიც გრძელდებოდა გაცხოველებული მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა, მაგრამ XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული აქაურობა ჯერ ლათინმა ჯვაროსნებმა დაარბიეს, მერე კი თურქმა, არაბმა, კიტალოელმა მეკობრეებმა. ამას ბერძენ ბერებთან, საერთოდ ბერძნულ ეკლესიასთან ურთიერთობის გამწვავებაც დაემატა და ივირონს მძიმე დრო დაუდგა. ბერძნულმა სამღვდელოებამ ისარგებლა საქართველოს პოლიტიკური დაძაბუნებით და ათონზე ქართველთა რიცხვის შემცირებით და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა კალისტე I-მა ქართველებს მონასტრის მართვის უფლება ჩამოართვა. თუმცა 1363 წლიდან ივიონის წინამძღვარი კვლავ ქართველია. XV საუკუნეში, მას შემდეგ, რაც თურქ-ოსმალებმა კონსტატინოპოლი აიღეს და ბიზანტიის იმპერიაც დაამხეს, ივირონს საქართველოდან მიღებული შემწეობითღა გაჰქონა თავი. თუმცა ქართველი მეფე-მთავრები მზრუნველობას არ აკლებდნენ ივირონს, ქართველ ბერ-მონაზონთა მდგომარეობა თანდათან გაუარესდა და სავანეს ბერძენი ბერები დაეპატრონენ. ამას მოჰყვა ქართველი ბერების შევიწროება. ბერძნებმა ხელყვეს ივირონის ფრესკები, წაშალეს ქართული წარწერები, ქართველ მოღვაწეთა სახელები. XIX საუკუნის დამდეგს ათონში თურქების გამოჩენით შეშინებულმა ბერძნებმა ათონი მიატოვეს, ქართველები კი დარჩნენ დ ქართული წარმოშობის თურქთა სარდალთან, ჭყონია ფაშასთან მოლაპარაკების შედეგად საკუთარი სავანეც გადაარჩინეს და ზოგი სხვა მონასტერიც. ეს ის პერიოდია, როდესაც ათონზე ვენედიქტე ქიტიაშვილი და ილარიონ ყანჩაშვილი მოღვაწეობდნენ. 1830 წელს ბერძნები ათონზე დაბრუნდნენ და ქართველები საბოლოოდ გამოაძევეს ივირონიდან. რამდენიმე დარჩენილ ქართველ ბერს კი ილია წინასწარმეტყველის სადაყუდებლო მიუჩინეს საცხოვრებლად. XIX საუკუნის 80-იან წლებში ათონზე ოთხადოთხი მოხუცი ქართველი ბერი იყო...



# სკოლა „ნაკადული" ახალ შევსებას ელის

## ქ. რუსთავის გაძლიერებული უცხო ენების სწავლების სკოლა „ნაკადული" გიწვევთ 2006-2007 სასწავლო წლისათვის

გაძლიერებული უცხო ენების (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული) და კომპიუტერის სწავლების სკოლა „ნაკადული" ფართოდ გიღებთ კარს და სათნო გულით, ლამაზი სულით, სწავლის მაღალი ხარისხით, შინაარსობრივად დატვირთული კლასგარეშე ღონისძიებებით, მაღალკვალიფიცირებული პედაგოგიური კოლექტივის ძალისხმევით საინტერესო და ლამაზი ცხოვრებით მასპინძლობას გპირდებათ.

კერძო სკოლებს შორის ერთ-ერთი პრესტიჟული სასწავლებელი, „ნაკადული" განსაკუთრებულად გაძლიერებული პროგრამით ასწავლის ოთხ (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) უცხო ენას და მომავალი სასწავლო წლისთვის კიდევ უფრო გაახლებული პროგრამებით გააძლიერებს სწავლებას. სკოლა ორიენტირებულია სწავლების ხარისხზე და არა მოსწავლეთა რაოდენობაზე.

–სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფები, სადაც კვალიფიცირებული პედაგოგები ყველა საგანში სრულყოფილად მომზადებულ ბავშვს უშვებენ შინ.

–უცხო ენების შესწავლა სკოლაში იწყება პირველივე კლასიდან ლინგაფონის კაბინეტში კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით.

–VI კლასიდან ხდება მეორე უცხო ენის შესწავლა.

–I საფეხურზე დამატებით ისწავლება ჭადრაკი, რიტმიკა-აერობიკა, მუსიკა, ფოლკლორი, ცეკვა, ხალხური საკრავები, რუსთავის ისტორია.

–სწავლების I და II საფეხურზე ჩაირიცხებიან მხოლოდ ნიჭიერი მოსწავლეები. თითოეული კლასი დაკომპლექტებულია 12-15 ბავშვით.

–სკოლასთან ფუნქციონირებს ინტელექტუალთა, ეკოლოგიური და სათნოების კლუბები, ლიტერატურული სალონი და ხელოვნების სტუდიები. ასევე გოგონებისათვის – საოჯახო კლუბი, სადაც ისინი ეუფლებიან ჭრა-კერვას, ქსოვას, კულინარიას და კოსმეტოლოგიას.

–იხსნება აგრეთვე სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელთა ჯგუფი (მოსამზადებელი, რომელიც მოამზადებს კონტიგენტს სკოლა „ნაკადულისათვის"), სკოლას მოემსახურება მიკრო-ავტობუსი.

სკოლა „ნაკადულში" სიახლეა:

–წარჩინებულ მოსწავლეებს დაენიშნებათ სტიპენდია.

–ერთი ოჯახის ბავშვებისთვის გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი შეღავათები.

–V კლასიდან სასწავლო საგნად ეთნოგრაფიის შემოღება და ლიტერატურულ-მხარეთმცოდნეობითი სალონის გახსნა.

–VII კლასიდან ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების დაუფლება.

–2006-2007 სასწავლო წელს სკოლა „ნაკადულში" ჩარიცხული მოსწავლეები განთავისუფლებული იქნებიან პირველი თვის გადასახადიდან.

**სკოლის დამფუძნებელი დირექტორი გულჩინა ქიქაძე**

**სკოლის მისამართია:** ქ. რუსთავი, მე-15 მიკრორაიონი, 29 ბაგა-ბაღის შენობა. სკოლა „ნაკადული"
**დაგვირეკეთ: 899-95-79-39; 824-15-44-87**

# სითბო, სიკეთე და სიყვარული „საპოვნელასთვის"

ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით რუსთავის შ. რუსთაველის სახელობის №2 სკოლაში ლამაზი და შთამბეჭდავი ღონისძიება გაიმართა, რომლის ორგანიზატორი გახლდათ სკოლის სათნოების კლუბი რუსუდან აბაშიძის ხელმძღვანელობით. საღამოს ესწრებოდნენ: საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტი ქალბატონი ნანა ყეინიშვილი, ქვემო ქართლის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე შორენა წიკლაური, აღმასრულებელი მდივანი ბაია ხარძიანი, ასოციაცია „ბავშვი და გარემოს" წარმომადგენელი ქ-ნი ნანა იაშვილი, პროექტის „ახალი ცხოვრების დასაწყისი" რუსთავის კოორდინატორი ნინო ნუცუბიძე, ქალაქის მერის მოადგილე ქ-ნი ლეილა აფციაური, საკრებულოდან ქ-ნი ნინო ბასილაშვილი, განათლების რესურსცენტრიდან ბ-ნი არმაზ დუღაშვილი, ქ-ნი ეთერ ჭიპაშვილი, თავისუფალი პროფკავშირების თავმჯდომარე ქ-ნი ლეილა გორგაძე, ინგლისელი სტუმრები, ორგანიზაცია „Team for you" ხელმძღვანელი დევიდ კუკი და სხვები.

ღონისძიება ქალაქის ქუჩისა და რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების დღის ცენტრ „საპოვნელასთვის" გაიმართა. მეორესკოლელებმა „საპოვნელას" ბავშვების ნამუშევრების გამოფენა მოაწყვეს.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა მეორე სკოლის დირექტორმა ქ-ნმა ბელა ჯანგიძემ და დამსწრე საზოგადოებას ბავშვთა დღესთან ერთად ამაღლების ბრწყინვალე დღესასწაული და ნინოობა მიულოცა, „საპოვნელას" ბავშვებს კი სკოლის სახელით 33 ხატი სათითაოდ გადასცა. წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტმა ქალბატონმა ნანა ყეიენიშვილმა პატარებს სპორტული ინვენტარი უსაჩუქრა. კონცერტი ბავშვების მიერ მომზადებული ცეკვა „ქართული" გაიხსნა, რომელიც მეთერთმეტეკლასელებმა რომან აკოფაშვილმაა და ლიკა ტყეშელაშვილმა შეასრულეს. ცეკვას სიმღერა ენაცვლებოდა, სიმღერას – ცეკვა, დარბაზში სიკეთე და სათნოება ზეიმობდა, რასაც კარგად ერწყმოდა ქართული ჰანგი, ომახიანად გუგუნებდა „მრავალჟამიერი". სტუმრებისთვის ქართულ და ინგლისურ ენაზე იმღერეს გურამ პაატიშვილმა, გელა გოცირიძემ, მიხეილ პერტეავამ, თიკო მოსულიშვილმა, ნატო ჯამასპიშვილმა, ირაკლი ანთაძემ, ბექა ღვინჯილიამ, მარი დადუნაშვილმა, გიორგი მენაფირემ და სხვებმა. დამსწრე საზოგადოებას საშუალება ჰქონდა გასცნობოდა ფრაგმენტებს სკოლის ცხოვრებიდან, თურქეთში ვიზიტის ამსახველ კადრებს (კომპიუტერული უზრუნველყოფისთვის მადლობა გადაუხადეს პავლე თვალიაშვილსა და რეზო ბარბაქაძეს).

განსაკუთრებული მუხტი შემოიტანა სიმღერამ „თბილისზე", რომელიც სკოლაში მოღვაწე ამერიკელმა პედაგოგმა ლიზი შნაიდერმა ბავშვებთან ერთად შეასრულა, დარბაზიდან ბანი ინგლისელმა სტუმრებმაც მისცეს. მღეროდა მთელი დარბაზი, მღეროდნენ ქართველები, ინგლისელები, ამერიკელები და ველარ იტევდა დარბაზი ამ ემოციას, იყო ოვაცია და აპლოდისმენტები. სიყვარული, სიკეთე, სათნოება ლეიტმოტივად გასდევდა ლამაზ საღამოს.

**მანანა მაილაშვილი**
ქ. რუსთავი

# „მაგრამ რწმენა ავალებდა რაოდენს...“

ღმერთმა ჩვენგან ასე შორს, კაბადოკიაში მოავლინა და სიცოცხლე მისცა უმშვენიერეს ასულს – ნინოს, რომელმაც ნათელი მოჰფინა საქართველოს.

წმინდა ნინომ დიდი გზა გამოიარა, კაბადოკიიდან საქართველოში სულ ფეხით იარა. ქარსა და წვიმაში ფეხშიშველი მოდიოდა. დაღლილ-დაქანცული ფარავნის ტბასთან შეჩერდა ფიქრობდა, შეძლებდა კი გზის გაგრძელებას? მას ჩაეძინა. სიზმარში ღვთისმშობელი გამოეცხადა. ღვთიური ძალით აღვსილმა ნინომ განაგრძო გზა, მას ხომ დიდი მისია ჰქონდა შესასრულებელი.

ჯავახეთის თოვლიანი გზებით ჩავიდა საქართველოს სატახტო ქალაქ მცხეთაში, სადაც მეფობდა მირიან მეფე. უფალმა სასწაულის თვალით დაანახა მეფე მირიანს და ნანა დედოფალს ქრისტიანობის ძალა. მათ ნინოს ღმერთი იწამეს და ქრისტიანულად მოინათლნენ. მათივე ბრძანებით აშენდა ტაძარი სვეტიცხოველი. მირიან მეფემ მრავალი ქართველი განბანა მტკვარში და გააქრისტიანა.

მე, როდესაც ვდგავარ საქართველოს დიდების ხატთან, ერთდროულად მიპყრობს სიამაყის და სინანულის გრძნობა. სიამაყის იმიტომ, რომ ამ ერთ მუჭა საქართველოში რამდენი წმინდანია, რამდენმა მეფემ და უბრალო ადამიანმა დადო თავი თავისი სარწმუნოებისთვის.

სინანულის გრძნობა კი იმიტომ მაქვს, რომ ჩვენ შორის ბევრი ისეთი ადამიანია, რომელიც თავის სიცოცხლეში ღმერთს არ უახლოვდება და ბოროტს ემორჩილება, ასე სათუთად და დიდი ტანჯვით მოტანილ ქრისტიანობას კი უპირისპირდება.

მართალია, ჩვენი სიცოცხლეც დედისგან იწყება, მაგრამ უპირველესად ღვთისგან. თუკი უფლის მცნებებით ვიცხოვრებთ, სიკეთის კეთება არ გაგვიძნელდება, უფლისგან ჯილდოს მივიღებთ და მივეცემით საუკუნო ცხოვრებას.

მე ვისურვებდი ჩვენი განმანათლებლის – წმ. ნინოს გზით ევლოს საქართველოს, რომ მას არ შეხებოდეს ბოროტება, საქართველო ხომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ქართული საგალობლები კი ყველაზე ლამაზია მთელ მსოფლიოში.

დაე ყველას გვახსოვდეს, თუ რას გვავალებს ჩვენი სარწმუნოება!!

**ნათია ბექაური,**
**ფასანაურის საშუალო სკოლა**

# მე არ მინდა ვიყო ათი წლით უფროსი

სხვათაშორის არ მინდა ვიყო ათი წლით უფროსი. ახლა გეტყვით რატომ: სკოლა დამთავრებული მექნება. ჩემი კლასელები და ყველა ჩემი მასწავლებელი ძალიან მომენატრება. მომენატრება სკოლა, ჩემი მშობლიური კლასი, მე ხომ პირველი კლასიდან ამ სკოლაში და ამ კლასში ვსწავლობდი. ეს სკოლა ჩემთვის სახლია. ჩემი მეგობრები, – ისინი ხომ ჩემი დები და ძმები არიან. ცხრამეტი წლისას სკოლა დამთავრებული მექნება. გამოცდები, ნერვიულობა, ამიტომაც არ მინდა, დრო აღარ მექნება დასასვენებლად, სულ მეცადინეობა. ამიტომაც არ მინდა ვიყო ათი წლით უფროსი.

**ანი აზარიაშვილი,**
**გურამ რამიშვილის სახ. №20 საჯარო სკოლა**



ნინო ხუციბერიძე,
ქ. ქუთაისი, №23 საშუალო სკოლა, I კლ.



ნიკა გაფრინდაშვილი,
ქ. რუსთავის №2 საშუალო სკოლა

# რის მაქნისია კუდი?

### უკუდოდ დარჩენილნი

ხერხემლიანი ცხოველების წინაპრები კუდიანი არსებები იყვნენ. მოგვიანებით ზოგი მათგანი იძულებული გახდა უარი ეთქვა კუდზე. დათმეს სხეულის ეს სამშვენისი თხუნელებმა ბრუცებმა, ბიგებმა – აბა რად უნდოდათ ამ მიწისმთხრელებს კუდი? გრძელ და მიხვეულ-მოხვეულ მიწისქვეშა დერეფნებში ხელს თუ შეუშლიდა, თორემ ისე არაფერში გამოადგებოდა. მეტად თავისებურ ტროპიკულ ამფიბიებს, რომლებიც ძალიან გვანან უზარმაზარ ჭიაყელებს და მათსავით მიწაში ცხოვრობენ, საერთოდ არა აქვთ კუდი. კუდი ზედმეტი აღმოჩნდა ბუჩქნარების, ბარდებისა და ხშირი ბალახის ბინადარი ცხოველებისთვისაც. ეკალ-ბარდებში სიარულსა და ხტუნვაში სულ ადვილად შეიძლება ან ტოტს გამოედო კუდით ან ეკალს. საერთოდ არა აქვთ კუდი ბაყაყებს გომბეშოებს, ვასაკებს, ლემინგებს კი ერთი ციცქნა კუდი აქვთ, კურდღლებსაც ხომ კუდის რაღაც უბადრუკი ჩამონაჭერი შემორჩენიათ.



### ბალანსირი

თუ ხეების ქვეშ თუ ბალახ-ბუჩქნარში მცხოვრებ ცხოველებს კუდი მარტო ხელს უშლის და სხვა არაფერი, ტყის ზედა სართულების მობინადრენი უკუდოდ ვერაფერს გააწყობენ. ხომ მიგიქცევიათ ყურადღება – ბაგირზე მოსიარულე ცირკის მსახიობები წონასწორობას ან გრძელი ჭოკის ან კიდევ ქოლგის მეშვეობით ინარჩუნებენ. ციყვებს, კვერნებს, სიასამურებს, ლემურებს ზოგიერთ მაიმუნსა და ბევრ სხვა ცხოველს ფაფუკი კუდი წონასწორობის შენარჩუნებასა და ტოტებზე სწრაფ გადასვლა-გადმოსვლაში ეხმარება.



ხიდან ხეზე გადახტომისას კი კუდი საჭის მოვალეობას ასრულებს. საჭე უდაბნოებისა და შიშველი სტეპების მორბენლებს სჭირდებათ. ყველაზე ვირტუოზულ მორბენლებს – მიწის კურდღლებს, რომლებიც უკანა თათებზე შემდგარნი გაურბიან საფრთხეს, თითქმის შიშველი კუდის ბოლოზე გრძელი ბეწვის ფუნჯი აქვთ. პატარა მორბენლებისთვის კუდი საჭეც არის და ბალანსირიც. სირბილში ციცქნა მალემსრბოლები კუდის ფუნჯით თითქოს ჰაერს ეყრდნობიანო და როცა მკვეთრად უხვევენ, სწორედ ამის წყალობით არ ეცემიან. წონასწორობის შესანარჩუნებელ საპირწონედ და ჩამოსაჯდომ ტაბურეტად ხმარობენ თავის სამმეტრიან კუდს დიდი კენგურუები.

### საჭე და მუხრუჭი

წყლის ბინადარნი კუდს გადაადგილების საშუალებად იყენებენ. მხოლოდ თევზები, სალამანდრები, ტრიტონები და ნიანგები იქნევენ მას მარჯვნივ და მარცხნივ, ვეშაპები, დელფინები, სელაპები, თახვები კი ზევით-ქვევით იქნევენ კუდს. კუდს საჭედ ფრინველებიც იყენებენ. თუმცა ჰაერში



ფრთოსნები მშვენივრად ბრუნდებიან ფრთების მეშვეობით, მაგრამ კუდი მეტი მანევრირების შესაძლებლობას აძლევს მათ. ფრინველები კუდს მუხრუჭებად იყენებენ. ყველაზე ხშირად მუხრუჭი დაფრენის, დაჯდომის დროს გამოიყენება.

კუდი ფრთოსანთა ტვირთამწეობასაც საგრძნობლად ზრდის. კუდი საშუალებას აძლევს მათ მაღლა-მაღლა იბოინონ, ილივლივონ და ამასთან ფრთები ოდნავადაც არ შეატოკონ, კუდი სიმძიმის გადაზიდვისასაც დიდ სამსახურს უწევს მათ. ვთქვათ, არწივმა კურდღელი მოინადირა, კლანჭებით ჩაფრენია მას და ზევით-ზევით მიიწევს. ასეთი „ტვირთი" ფრინველის სიმძიმის ცენტრის მდებარეობის შეცვლას იწვევს და უკან სწევს

მას. კუდი რომ არ ჰქონდეს, არწივი წონასწორობას ვერ დაიცავდა. ბოლოგმოგლეჯილი არწივი ასეთი ტვირთით ჰაერში ვერ გაჩერდება. ყოფილა შემთხვევა, როცა ფრინველთა მეფე მაზუთში ამოთხვრილი კუდის გამო ნანადირევს ვეღარ ეზიდებოდა, მსუბუქ ფრენაში მწყობრიდან გამოსული კუდი ხელს არ უშლიდა ფრთოსანს, ტვირთის გადაზიდვაში კი ვერ ეხმარებოდა და დაძაბუნებულ არწივს ნადავლი ბუდემდე ველარ მიჰქონდა, წამდაუწუმ ეშვებოდა მიწაზე და ბოლოს და ბოლოს თავს ანებებდა ნანადირევს.

## ალპინისტი



ბევრ ცხოველს კუდი ხეთა ზროებსა და ციცაბო კლდეებზე ცოცვაში ეხმარება. კოდალა კუდს ალპენშტოკად და ტაბურეტად იყენებს. როგორც კი ლაფანჭამია ხოჭოს აღმოაჩენს, ხეკაკუნა ბრჭყალებით ჩაებღაუჭება ქერქს, კუდის ბუმბულების ბოლოებით მიებჯინება მას და ასე, საკუთარ კუდზე ჩამომჯდარი მუშაობს.



კიდევ უფრო ხშირად იყენებენ მემაღლივე ცხოველები კუდს დამცველ ბაგირად ანუ მეხუთე ხელად. ჩრდილო ამერიკის ბინადარი მშვენივრად იყენებს თავის გრძელ კუდს ტოტებზე სამოგზაუროდ, ჩაეჭიდება კუდით და შეუძლია კარგა ხანსაც ეკიდოს ტოტზე კუდით. დედა ოპოსუმა ხის ფუღუროში ბუდის მოსაწყობად კუდის მეშვეობით ეზიდება თივამასალას, ასევე იქცევა ერთ-ერთი ყველაზე პატარა ავსტრალიური კენგურუ ჯაგარკუდა კენგურუვირთხა.

მაიმუნები ხომ მეხუთე თათად იყენებენ კუდს, ჩამოეკიდებიან კუდით ტოტზე, თათებით კი სხვა საქმეს აკეთებენ. ზოგჯერ კი პირიქით, თათებით დაეკიდებიან, ნაყოფს კი კუდით კრეფენ.

## ურთიერთობის საშუალება

ზოგიერთი ფრინველისათვის კუდი პირადობის მოწმობის როლს ასრულებს. გაზაფხულობით, როცა ოჯახების შექმნის დრო დგება, ცხოველებმა დანამდვილებით უნდა იცოდნენ, ვინ ვინ არის. ხშირად ყველაზე შესამჩნევ განმასხვავებელ ნიშანს სწორედ კუდი წარმოადგენს ხოლმე. ხომ არა გგონიათ, რომ მამალს ისე, უბრალოდ აქვს ასეთი დიდი და ჭრელი ბოლო, ახლა მამალი ფარშევანგის ბოლოც გავიხსენოთ, და თუმცა ეს მთლად ბოლო კი არ არის, არამედ კუდსზემოთა ბუმბულის მარაოა, იგი მაინც დიდებული სანახავია. კუდის მეშვეობით მარაოს რომ გადაშლის, მამალი ფარშევანგი თავს აწონებს დედლებს.

მაღლა აპრეხილი კუდი წინასწარ ამცნობს ყოველივე სულიერს მყრალას მოახლოებას. ამ პატარა ცხოველს მტრები არა ჰყავს. მისი ქიმიური იარაღი (ცუდი სუნის მქონე სითხე) ძალზე საიმედოა და მას არავისი არ ეშინია. როცა რომელიმე მყრალას გზატკეცილზე გასეირნება მოეპრიანება, ავტომანქანების მძღოლები შეშფოთებულნი ამუხრუჭებენ. თუ მოხდა და მანქანა ქიმიური შეტევის ობიექტად იქცა, რამდენიმე თვე მისი ხმარება ყოვლად შეუძლებელი იქნება. მაგრამ მყრალაც ფიქრობს საკუთარ უსაფრთხოებაზე და სულაც არ უნდა მანქანის ბორბლების ქვეშ აღმოჩნდეს ან გამოუცდელ პუმას ჩაუვარდეს თათებში. ამიტომაც მყრალა ცდილობს ისე მოიქცეს, რომ სხვა ცხოველებში არავის შეეშალოს. ასეთივე ფუნქცია ავალია ჩხრიალა გველის კუდს, როცა გველი კანს იცვლის, კუდის ბოლოზე „საჩხრიალო", მოუცილებელი კანის 5-



8 სეგმენტი უჩნდება. შემკრთალი გველი იგორგლება, კუდის ბოლოს ზევით სწევს და ამოძრავებს მას, ამასთან საკმაოდ უცნაური ხმა ისმის ხოლმე, როცა ამერიკის პრერიებში ბიზონების ჯოგები დახეტიალობდნენ, ჩხრიალა გველები ამ „საჩხრიალოს“ საშუალებით აფრთხობდნენ მძიმე წონის ჩლიქოსნებს, აქა ვართ და ანაზდად ფეხი არ დაგვადგათო.

თუ უცნობი ძაღლი გიყეფთ, ოღონდ ამასთან ენერგიულად კუდს აქიცინებს, ნუ შეგეშინდებათ, ეს აგრესია არ არის, უბრალოდ ძაღლს უნდა გაგიცნოთ და რაკიღა ამის თქმას ვერ ახერხებს, კუდითა და ყეფით გამოხატავს თავის მეგობრულ განწყობილებას. ერიდეთ ძაღლს, თუ მას კუდი ამოძუებული აქვს. ეს იმის ნიშანია, რომ ძაღლი შეშინებულია და თავს დაიცავს. ნუ შეეცდებით ამ დროს მის გაცნობას, გიკბენთ. სხვაა კატა. კატები პირიქით იქცევიან – თუ კატა კუდს აქიცინებს, ეს იმის ნიშანია, რომ ის ბრაზობს.

## დაშნა, ხანჯალი და შოლტი

ბევრი ცხოველისთვის კუდი ერთადერთი იარაღია. შავ ზღვაში საინტერესო ზღვის კატა, სკაროსი ცხოვრობს. გარეგნულად სკაროსი თავისი კუდით ტარიან ტაფას ჰგავს. კუდის ძირში სკაროსს გრძელი, ბრტყელი, ნაპირებში დაშნასავით ბასრი ეკალი ეზრდება. როცა ზღვის კატას თავს ესხმიან, იგი გამალებით იქნევს კუდს და ჭრილობებს აყენებს თავისი დაშნით.

მრუდკუდა თევზი პატარა მოხდენილი არსებაა, მას ზურგიდან ჯავშანი ფარავს, რომელიც მუცელზე დანის პირივით ბასრი კუდით ბოლოვდება, ამიტომაც ეძახიან ამ თევზს სამართებელსაც. თუ უწყინარ პატარა მრუდკუდას სიმშვიდეს ურღვევენ, იგი თავისი ჯავშნის სამართებლით იცავს თავს მტრისგან.

შუა აზიის სტეპებისა და უდაბნოების ბინადარი დიდი ხვლიკები – ვარანები თავდამსხმელებს კუდით ებრძვიან, შოლტივით ხმარობენ მას ორთაბრძოლაში, ამასთან დარტყმა ისე ძლიერია, რომ ძვლების გადამტვრევა შეუძლია. ხარები, ცხენები, ზებრები, ვირები, ანტილოპები და



უზარმაზარი სპილოებიც კი კოღოებს, ქინქლებს, ბუზებსა და სხვა მწერებს კუდით იგერიებენ, როცა მწერები ძალიან გაუწყალებენ გულს, პრჟევალსკის ცხენები მჭიდრო წრეს ჰკრავენ, პირით წრის გულისკენ დგებიან და პატარა აგრესორების მოსაგერიებლად ერთდროულად იქნევენ კუდებს.



პატარა ცხოველები, როცა მტაცებელს უვარდებიან თათებში, ცდილობენ თავი დაიძვრინონ. ასეთ შემთხვევაში ხვლიკები და ხმელეთის სალამანდრები სპეციალური კუნთების დაჭიმვით კუდის ძირში ერთ-ერთ მალას გადაიტეხავენ და მოისვრიან. თავდამსხმელი მოფართხალე კუდს ეძგერება ხოლმე, კუდის პატრონი კი თავს უშველის. კუდის დაკარგვა ასეთი ცხოველებისთვის არაფერს ნიშნავს, ისევ გაეზრდებათ. თუ მტაცებელი თაგვს კუდში სწვდება, მას პირის ჩატკბარუნება არ უწერია. კუდს ისე გასძვრება თხელი ბეწვით შემოსილი კანი, რომ პირში კუდგაჩრილი აგრესორი ვერც მიხვდება, როდის უშველა თაგვმა თავს. მართალია, თაგვს კუდზე კანი აღარ გაეზრდება, ხოლო გაშიშვლებული კუდის ბოლო გახმება და მოსძვრება, მაგრამ თაგვი უკუდოდაც ცოცხლობს.

## საოცარი გამოყენება

კუდის ყველაზე უჩვეულო ფუნქცია მისი საწყობად გამოყენებაა, საკუთარი ქონების თან ტარება ბევრად უფრო საიმედოა. მიწის კურდღლები და ვარანები ზედმეტ ცხიმს კუდის ძირში იგროვებენ. დუმიან ცხვრებს ასეთ „საწყობებში“ ზოგჯერ 11 კილოგრამამდე ქონი უგროვდებათ.

ჩრდილოეთის მკვიდრნი: მელიები, კვერნები, სიასამურები, თეთრი მელები კი საბნის მაგივრად იყენებენ კუდს. მელია ზამთარში სოროში არ იძინებს, პირდაპირ თოვლზე მოიკეცება, თათებს ქვეშ ამოიდებს, სხეულის ერთადერთ უბეწვო ნაწილზე – ცხვირზე კი კუდს წაიფარებს და ჩათბება.

აი რამდენნაირ სამსახურს უწევს კუდი ცხოველებს.

ტესტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ ვინ ხარ?



მეტისმეტად სერიოზულად ნუ აღიქვამთ ამ ტესტს, უბრალოდ გასაქანი მიეცით ფანტაზიას და ეცადეთ მიღებული პასუხების საფუძველზე საკუთარი ხასიათის ნიშან-თვისებებში გაერკვეთ.

აიღეთ ქაღალდის თითო ფურცელი, რომელზეც აქ შემოთავაზებულის მსგავსი ოთხი კვადრატი იქნება გამოსახული (უმჯობესია 10X10 სანტიმეტრის ზომის კვადრატული ბარათები აიღოთ). მოიმარჯვეთ ფანქარი და ჩახატეთ კვადრატებში ის, რაც მოგესურვებათ, ოღონდ ნუ დაარღვევთ აუცილებელ პირობას – უნდა გამოიყენოთ კვადრატში მოცემული დეტალები (თუ დეტალები მოცემულია).

პირველი კვადრატი. კვადრატში თავიდანვე მოცემული წერტილი გაზრდილია? მოცემული წერტილი იმ ნახატს დაედო საფუძვლად, რომელზეც ტესტების მონაწილემ თვალი, მზე ან ყვავილი გამოსახა? თუ ასეა, გამოდის, რომ ამ ნახატის ავტორი მტკიცე ხასიათის ადამიანია. ხოლო ის, ვინც წერტილის გარშემო კვადრატი ან რაიმე სხვა ფიგურაც დახატა, მაინცდამაინც გაბედული არ უნდა იყოს. თუ რომელიმემ წერტილი ჩახატა: ეს იმაზე მეტყველებს, რომ ის ფრთხილი და გაუბედავი ადამიანია.

მეორე კვადრატი. კლაკნილი ხაზის თავზე გამოსახული ნავი თუ გემი გეუბნებათ, რომ ამ ნახატის ავტორი სწრაფად ერკვევა სიტუაციაში. ხაზის კვადრატის კიდეებზე გაგრძელება პუნქტუალობის, უფრო მეტიც – პედანტურობის ნიშანია. თუ ტესტის მონაწილემ გაიმეორა კლაკნილი ხაზი, იცოდეთ, რომ იგი ადვილად ექცევა სხვისი ზეგავლენის ქვეშ.

მესამე კვადრატი. მესამე კვადრატში მიღებული ნახატის მიხედვით შეგიძლიათ იმსჯელოთ, საიმედოა თუ არა მისი ავტორი მეგობრობაში. პასუხი დადებითია იმ შემთხვევაში, თუ ის, რაც თავიდან იყო დახატული კვადრატში, ახალი ხაზებით არის შეერთებული. სხვა შემთხვევაში კი გადაჭრით ვერაფერს იტყვით.

მეოთხე კვადრატი. რას ჩახატავს ადამიანი ამ ცარიელ კვადრატში? თუ ყვავილს, ჩიტს, რაიმე სასიამოვნო სურათს, იგი მგრძნობიარე და ემოციური ყოფილა. წრე ჩახატა? ასეთი ადამიანის ერთ-ერთი მთავარი ნიშან-თვისება დისციპლინიანობაა. კვადრატებში კვადრატის ჩამხატველი მეტისმეტად პედანტური დ შეიძლება გულდახურული ადამიანი გახლავთ.

თუმცა ეს ტესტი სახუმაროა, იმედია, იგი ბევრ თქვენგანს სერიოზულად დააფიქრებს და საკუთარი ხასიათის ავკარგიანობის დადგენაში დაეხმარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატარების მეგობარი

ახალგაზრდა პედაგოგი ქეთევან ნინიძე თბილისის №1 საჯარო სკოლის $I^5$ კლასის საგნობრივი სპეციალობის სადამრიგებლო კლასის ხელმძღვანელია. პატარების საყვარელმა ქეთინო მასწავლებელმა 2000



ქ. ნინიძე და მისი პირველკლასელები: გიორგი ხატიაშვილი, ლევან ლორთქიფანიძე, გიგი შავგულიძე, ბუბა ჩარქსელიანი, სოფიო მამარდაშვილი, თათული ბერიანიძე, გიორგი ფანგანი, ლიზი მჭედლიძე და მიხეილ ზღულაძე.
ვარლამ განგიურის ფოტო.

წელს დაამთავრა თბილისის 115-ე საშუალო სკოლა და თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, რომელიც 2004 წელს დაამთავრა, სულ მალე იგი მაგისტრატურასაც დაამთავრებს, სადიპლომო ნამუშევრად არჩეული აქვს თემა „დისჰარმონიის პოეტიკა ქართულ ჰიმნოგრაფიაში, 2001-2002 წ“. ქეთევან ნინიძე ჯავახეთში, ახალქალაქის რაიონის სოფელ ბარალეთში საზაფხულო სკოლების ორგანიზატორ-მენეჯერი გახლდათ და ძალზე ნაყოფიერადაც იმუშავა. ახალგაზრდა პედაგოგის აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია და მზადყოფნა საკუთარი წვლილი შეიტანოს ახალი საქართველოს აღმშენებლობაში, თსუ-ში ჩატარებულ რესპუბლიკურ კონფერენციებშიც დადასტურდა და ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ რესპუბლიკურ კონფერენციაშიც, სადაც მისმა ნამუშევრებმა მაღალი შეფასება და ფულადი პრემია დაიმსახურა. №1 საჯარო სკოლამდე ქ. ნინიძე წმიდა გიორგის სახელობის საერო სკოლაში დაწყებით კლასებში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა, გარდა ამისა, იგი გამომცემლობა „დიოგენესთან“ არსებულ პირველი კლასისათვის განკუთვნილი „დედა ენის“ შემდგენელთა ჯგუფშიც მუშაობდა. უთუოდ ყოველივე ამის გათვალისწინებით იგი №1 საჯარო სკოლაში მიიწვიეს, სადაც ის პატარებს თავის სადამრიგებლო კლასში როგორც მსოფლიო ისე ქართული საბავშვო კლასიკიდან მის მიერ ადაპტირებულ ტექსტებსაც ასწავლის. პირველკლასელებმა ამას წინათ ქეთინო მასწავლებლის ხელმძღვანელობით და საკუთარი ხელით დამზადებული წიგნი „პეპი გრძელი წინდა“ სკოლაში სტუმრად მყოფ საქართველოში შვედეთის კონსულს ბატონ ერიკ იუნსონს მიართვეს საჩუქრად, რითაც ძალიან ასიამოვნეს იგი.

ოქროშხეფი

# მიყვარს გაზაფხული



დავიღალე, ძალიან დავიღალე ლოდინით! ალბათ, გაინტერესებთ რას ველოდები, – რას და გაზაფხულს. გაზაფხულის სითბოსა და ლამაზ დღეებს ველოდები. მიყვარს გაზაფხული. გაზაფხულობით დილაუთენია ფეხზე წამოდგომა. ეზოში ნამიან ბალახზე გავლა, გრილი, წმინდა ჰაერის ღრმად ჩასუნთქვა, რომ იცოდეთ, რა ლამაზია ამ დროს ჩემი სოფელი! მწვანეში ჩაფლული, გაშლილი ველ-მინდვრები. საძოვარზე შეფენილი ცხვრები და ძროხები, მინდვრის ყვავილებით ათასფრად გადაჭრელებული მდელოები. ჩვენს სოფელში გაზაფხულობით უამრავი ჩიტი მოფრინდება ხოლმე. ქართულად ყველა ჩიტის სახელი არ ვიცი, მაგრამ ერთის სახელი, რომელიც დღედაღამ გულს მიწრილებს კაკუნით, არ მავიწყდება – მას კოდალა ჰქვია. ასეთია ჩემი სოფელი გაზაფხულობით. იქნებ უკვე ნახვის სურვილით გაგიჩნდათ, თუ ასეა, შეგიძლიათ ჩამობრძანდეთ და თავად იხილოთ ლამაზი და ხალხმრავალი სოფელი ლამბალო.

**ნაზირ გასანოვი,**
საგარეჯოს რაიონი,
სოფელი ლამბალო,
აზერბაიჯანულენოვანი სკოლა,
ქართული სექტორი,
III კლასი (მასწავლებელი ნინო ნანუაშვილი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ი ც ო დ ი თ , რ ო მ . . .




### აზია

სახელწოდება აზია ძველსემიტური ფინიკიური ენიდან მოდის. ფინიკიელებმა თავიანთი ქვეყნიდან აღმოსავლეთით მდებარე მხარეს „ასუ" დაარქვეს, რაც „აღმოსავლეთს" ნიშნავს. დროთა განმავლობაში „ასუ" – „აზუდ", შემდეგ კი „აზიად" იქცა.




### ევროპა

„ასუს" საწინააღმდეგო, ხმელთაშუა ზღვის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მხარეს ფინიკიელებმა „ირიპის", „ერეპი" „მზის ჩასვლის ქვეყანა". „დასავლეთის ქვეყანა" დაარქვეს. ამ სიტყვამ თანდათან იცვალა სახე და ბოლოს „ევროპად" გადაიქცა.




### აფრიკა

კართაგენის არსებობის დროს (კართაგენი ჩრდილო აფრიკაში იყო) აფრიკას „ლიბია" რქმევია. ამ ქვეყნისათვის, რომელიც ხმელთაშუა ზღვის სამხრეთით მდებარეობს, „აფრიკა" ბერძნებს დაურქმევიათ. ერთ-ერთი აქაური ტომის – „აფრების" სახელწოდების მიხედვით.




### ავსტრალია

ვიდრე ევროპელები აღმოაჩენდნენ, ავსტრალიას სხვა სახელი ერქვა. იგი პირველად ჰოლანდიელებმა აღმოაჩინეს და „ახალი ჰოლანდია" დაარქვეს. შემდეგ ჯეიმს კუკის თანამგზავრებმა მას „ავსტრალია" უწოდეს. „ავსტრალია" ლათინურად „სამხრეთს" ნიშნავს.




### ანტარქტიდა

ეს სახელწოდება ორი სიტყვისგან შედგება: „ანტ" და „არქტ". „ანტ" ბერძნულად დათვს ნიშნავს (ბერძნები დიდი დათვის თანავარსკვლავედის საშუალებით აგნებდნენ ჩრდილოეთს). აქედან დაერქვა ჩრდილო-პოლარულ მხარეს არქტიკა. „ანტი" – ნიშნავს საწინააღმდეგოს. ასე რომ, ანტარქტიკა, ანტარქტიდა, სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „არქტიკის საწინააღმდეგო მხარე".

# შერეკილები

## „ღვინო მართლაც დიდებულია!“



გალილეო გალილეი მის მიერ გამოგონილ თერმომეტრს სინდიყით ან სპირტით კი არ ავსებდა, არამედ ღვინით. ერთ-ერთი ასეთი ხელსაწყო დიდმა იტალიელმა ინგლისში გაუგზავნა თავის კოლეგას. მან თერმომეტრს თან ახლა ბარათი, რომელშიც ხელსაწყოს დანიშნულება იყო ახსნილი. ეტყობა ბარათი გზაში დაიკარგა ან ადრესატმა მისი არსი ვერ გაიგო. ასე იყო თუ ისე, მცირე ხნის შემდეგ გალილეიმ კოლეგის მოულოდნელი პასუხი მიიღო: „ღვინო მართლაც დიდებულია! თუ შეგიძლია, კიდევ გამომიგზავნე!“

## სიტყვაძუნწი ნიუტონი



ნიუტონს არ უყვარდა ბევრი და ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი. იგი ორი წელი ესწრებოდა პარლამენტის სხდომებს და ამ ხნის განმავლობაში ერთადერთხელ ამოიღო ხმა. დიდმა ფიზიკოსმა მაშინაც პარლამენტის მსახურს მიმართა: „თუ შეიძლება, ფანჯარა დახურეთ – უბერავს“.

## კარლოს IV-ს საყვარელი ოთხიანი



„რომის წმინდა იმპერიის“ იმპერატორს კარლოს მეოთხეს რატომღაც ძალიან უყვარდა ციფრი „ოთხი“. მას ჰქონდა ოთხი დედაქალაქი, თითოეულ მათგანში ოთხი დიდმთავრიდან ერთ-ერთი იჯდა. იმპერატორი ოთხ სახლში ცხოვრობდა, თითოეულ მათგანში ოთხ-ოთხი ოთახი ეკავა. ოთახებში შესაბამისად ოთხ-ოთხი ფანჯარა, ოთხ-ოთხი კარი, ოთხ-ოთხი მაგიდა და ოთხ-ოთხი ლამპარი იყო.

თავისი იმპერია კარლოსმა ოთხ ნაწილად დაყო, არმია – ოთხ კორპუსად.

მის კარეტაში ოთხი ცხენი იყო შებმული. იმპერატორი ოთხი ფერის ტანსაცმელს იცვამდა. კარლოსი ოთხ ენაზე ლაპარაკობდა. დღეში ოთხჯერ ჭამდა. მისი საჭმელი ოთხი თავი კერძისგან შედგებოდა, საჭმელს იმპერატორი ოთხგვარ ღვინოს აყოლებდა.

კარლოს მეოთხემ ოთხჯერ იქორწინა ამ ქორწინებებიდან მას ოთხი შვილი ჰყავდა.

მომაკვდავი იმპერატორის სარეცელთან ოთხი ექიმი და ოთხი მოძღვარი იმყოფებოდა. ყოველი მათგანი ოთხ ენაზე წერდა ოთხიდან ერთ-ერთ ანდერძს.

კარლოს მეოთხე 1378 წლის 29 ნოემბერს გარდაიცვალა ოთხ საათზე.

## როგორ უნდა შემოწმდეს ასანთი



სახელგანთქმული ბოტანიკოსი ბრიოზი სიჭაბუკეში ერთ ფიცხ პროფესორთან სწავლობდა. ფხუკიანი პროფესორი ნებისმიერ წვრილმანებზე აპილპილდებოდა ხოლმე: „რატომ ყველაფერი წინდაწინვე არ მოამზადეთ? რატომ ყველაფერი ადრე არ გასინჯეთ?!“ ერთხელაც პროფესორს სანთურის ანთება დასჭირდა. ბრიოზიმ მას ასანთის კოლოფი გაუწოდა. პროფესორმა გაკრა ერთი ღერი, არ აინთო, არც მეორე ღერი აინთო, არც მესამე და არც მეოთხე. გაცოფებულმა პროფესორმა კბილების ღრჭიალით უსაყვედურა მოსწავლეს: „რამდენჯერ გითხარით, ჩემი ლექციის დაწყებამდე ყველაფერი გულდასმით შეამოწმეთ-მეთქი?“

„მაპატიეთ, ბატონო პროფესორო, – მიუგო ბრიოზიმ. – მე სწორედ ასე მოვიქეცი: შემოწმებისას ასანთის ყველა ეს ღერი მშვენივრად აინთო...“

## დალაქი მათემატიკოსი



ბევრი დიდი მეცნიერი თავიდან სხვა პროფესიას მისდევდა. მაგალითად, მათემატიკოსი ფერმა იურისტი იყო, ფიზიკოსი ჯოული – მელუდე, ფილოსოფოსი დეკარტი – სამხედრო.

როცა მათემატიკოს პუასონს ჰკითხეს, რომელმა მათგანმა მიატოვა ყველაზე შემოსავლიანი ხელობა მეცნიერების გულისთვის, მან უპასუხა:

–მე! ახალგაზრდობაში მე დალაქობას ვსწავლობდი.

## ამპერის პირველი აღმოჩენა



ერთხელ ცნობილი ფრანგი ფიზიკოსი ამპერი მეგობართან ერთად სენის სანაპიროზე სეირნობდა. მეგობარმა ხუმრობით ცხვირზე სათვალე წამოაცვა. უეცრად ამპერის ირგვლივ ყველაფერი შეიცვალა, გაცოცხლდა, ახალი, მკაფიო ფორმები შეიძინა. თურმე მანამდე ამპერს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ცუდად ხედავდა.

დიდი ფიზიკოსის მეგობრები ამ შემთხვევას მის პირველ დიდ აღმოჩენას ეძახდნენ.

# სიცილის გაკვეთილი

* * *

–დედიკო, მუცელი მტკივა, – შესჩივლა ექვსი წლის მარიმ დედას.

–ეს იმიტომ, რომ არ გისაუზმია და კუჭი ცარიელი გაქვს. შიგ რომ რამე გქონდეს, თავს გაცილებით უკეთ იგრძნობ – მიუგო დედამ.

იმ საღამოს მარის დედას მეგობარი ქალი ესტუმრა.

–რა ვქნა, აღარ ვიცი, დილიდან საშინლად მტკივა თავი, – თქვა სტუმარმა.

–ეს იმიტომ, რომ თავი ცარიელი გაქვთ, შიგ რომ რამე გქონდეთ, თავს გაცილებით უკეთ იგრძნობდით, – დაამშვიდა სტუმარი პატარა მარიმ.

* * *

პირველკლასელი: – დედიკო, რატომ უთხარი ჩემს მასწავლებელს, რომ დღეს ხელ-პირი არ დამიბანია?

დედა: – რას ამბობ, მე არაფერი მითქვამს!

პირველკლასელი: – აბა მაშ როგორ მიხვდა?

* * *

დედამ შვილს სენტიმენტალური მოთხრობა წაუკითხა, მერე კი ჰკითხა:

–მითხარი, ჯონ, შენ როგორ მოიქცეოდი, აჩუქებდი უმამოდ დარჩენილ პატარა ბიჭს შენს საყვარელ ძაღლს?

–არა... ვერ ვაჩუქებდი... არა სჯობია, იმ ბიჭს მამაჩემი ვაჩუქოთ?

* * *

პატარა ჰანსი ძილის წინ ფეხებს იბანს, უცებ დედას ეკითხება:

–დედა, გიხარია, რომ ცხენი არა ვარ?

–კი, რა თქმა უნდა.

–მეც მიხარია, მაშინ ხომ ოთხი ფეხის დაბანა მომიწევდა.

* * *

გეოგრაფიის მასწავლებელი: ვოვა, იცი რამე პანამის არხის შესახებ?

ვოვა: არა, მასწავლებელო, ჩვენს ტელევიზორში ასეთი არხი არ არის.



* * *

–ჩვენ ახლა კარნახს დავწერთ და ვინც სამ შეცდომაზე მეტს დაუშვებს, ორიანს მიიღებს. – თქვა მასწავლებელმა.

ყველა წერას შეუდგა. ცოტა ხნის მერე პაულმა კალმისტარი მერხზე დადო და ფანჯარაში ყურება დაიწყო.

–რატომ მიატოვე წერა, პაულ? – ჰკითხა მასწავლებელმა.

–მე უკვე ოთხი შეცდომა დავუშვი.

* * *

ერთ დღეს ჰანსი სკოლიდან დაბრუნდა და დედას უამბო:

–მასწავლებელმა შეკითხვები მოგვცა და გვითხრა, ვისაც პასუხის გაცემა შეუძლია, ხელი ასწიოსო.

მე ხელი არ ავწიე და მისაყვედურა: ჰანს, უკეთ უნდა ისწავლოო!

–სწორედ უთქვამს, შვილო, კარგად უნდა ისწავლო და ხელი აიწიო ხოლმე.

მეორე დღეს ჰანსმა დედას აჩარა, კლასში ერთადერთმა ავწიე ხელიო.

–ყოჩაღ, ჩემო ბიჭუნა, – მიუალერსა დედამ, – რა იკითხა მასწავლებელმა?

–საშინაო დავალება ვის არ შეუსრულებიაო?

* * *

–დაწერეთ წიადადება: „რაფაზე ყვავილები დგას", სად დგას შემასმენელი?

–რაფაზე.

* * *

ავტობუსში:

–ბიჭი, რა სკოლაში არ გასწავლიან, რომ უფროსებს ადგილი უნდა დაუთმო?

–არ გვასწავლიან. არდადეგები გვაქვს.

* * *

–როგორ მოხდა, რომ გეოგრაფიის გარდა ყველა საგანში ორიანები გყავს?

–გეოგრაფიაში ჯერ არ გაუძახივარ და იმიტომ.

* * *

–ბობ, იცი ანბანი? – ეკითხება მასწავლებელი.

–ვიცი, – უპასუხებს ბობი.

–შეგიძლია ყველა ასო ჩამოთვალო?

–შემიძლია.

–აბა, მითხარი, რომელი ასოა „ანის" შემდეგ?

–ყველა ასო „ანის" შემდეგაა, მასწავლებელო.

# ინილო — ბინილო

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. პირველი წარმოდგენა. 2. XI საუკუნის ხუროთმოძღვრების ძეგლი კახეთში. 3. ქიმიური ელემენტი. 5. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში. 6. გამხმარი ხის ტოტი, ანუ? 9. ზმნის ფორმა, რომელიც მოქმედებას დასრულებულად ან დაუსრულებლად წარმოგვიდგენს. 10. ზედა კიდურების სარტყლის შემადგენელი ძვალი. 11. კუნთოვანი ძგიდე, რომელიც გულ-მკერდის ღრუს მუცლის ღრუსგან გამოყოფს. 12. ქართული ანბანის პირველი ასო. 13. გამომწვარი აგური. 14. სახელმწიფო აფრიკაში. 15. ქალის სახელი. 21. ქიმიური ელემენტი. 22. ნელი ქარი, ანუ? 23. ქუთაისის ძველი სახელი. 25. გამრუდებული ხერხემალი. 27. ლიტერატურისა თუ ხელოვნების ნაწარმოების სახეობა, რომელსაც ესა თუ ის სიუჟეტი და სტილისტური ნიშნები ახასიათებს. 30. ქალაქი საფრანგეთში. 31. თბილისის „დინამოს" ყოფილი მოთამაშე. 33. წყალსატევი, რომელსაც კავშირი არა აქვს ოკეანესთან. 35. შუა აზიის სახელმწიფო. 38. ფრინველი. 39. მწვანილი. 41. ქალაქი საქართველოში.

**თარაზულად:** 1. ადგილი, რომელზეც მოჰყავთ სასოფლო-სამეურნეო კულტურა. 4. წინადადება აგებულების მიხედვით. 7. შორისდებული, რომელსაც ტელეფონით ლაპარაკის დროს ხმარობენ. 8. სასმელი. 11. სახელმწიფო აფრიკაში. 15. სოფელი ჩხოროწყუს რაიონში. 16. სვანეთის მწვერვალი. 17. სახელმწიფო აფრიკაში. 18. მდინარე საქართველოში. 19. ბერკეტი ანუ? 20. მანძილის საზომი ერთეული. 22. ნუსხა ანუ? 24. მდინარე რუსეთში. 26. ამა თუ იმ სფეროში მოღვაწეობის ხანგრძლივობა. 28. ფიცრის საწოლი. 29. მტკვრის მარცხენა შენაკადი. 32. მგლის სახელი ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებში. 34. სახელმწიფო აზიაში. 35. საოჯახო ნივთი. 36. მცენარე. 37. საუკუნეების, წლების გარკვეული მონაკვეთი. 40. ქართველი მწერალი. 42. მოფიქრებული, მაგრამ ჯერ განუხორციელებელი აზრი.



**თანმიმდევრობით შეაერთეთ ციფრები**



**დაეხმარეთ ინდიელს თავი აარიდოს ჩანჩქერს**

დამშვიდობება მშობლიურ სკოლასთან

თბილისის №138-ე საჯარო სკოლის

# კურსდამთავრებულები











[illegible]
თბილისის №138-ე საჯარო სკოლის
# კურსდამთავრებულები

ეროვნული ბიბლიოთეკა


ნ 227/34









ოლეგ გველესიანის ფოტოები